

**გაეროს არქონალი**  
**სააგენტოს აჭარის**  
**ჰიდრომეტეოროლოგიური**  
**ობსერვატორიის მონაცემები**

დღეს მოსალოდნელია წვიმა ელქვიტო, ზოგან - ძლიერი, დასავლეთის მიმართულების ქარი - 12-17 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 13-18, მთიან რაიონებში - 10-15, მაღალ მთაში - 0-5 გრადუსი სითბო.  
 ზღვის წყლის ტემპერატურა 22 გრადუსია, ატმოსფერული წნევა - 761 მილიმეტრი.  
 მომდევნო 2 დღეს ამინდი შენარჩუნდება.

## ვეტერანი საპატიო სტატუსია

ნანა აბულაძე 577 20 35 90

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ ვეტერანების დღესთან დაკავშირებით, მიმართვა გაავრცელა, რომელიც საზოგადოებას შეუფერხებლად გააცნო.

„ჩვენ ვეტერანებო, ქვეყნისათვის დამაშვრალო ჩვენი სულიერო შვილებო, ღვთის შეწევნით კვლავაც მაქვს შესაძლებლობა, მოგესალმოთ და მოგილოცოთ დღე, რომელიც ყველას ახსენებს თქვენს ღვაწლს, ჩვენი ახლო წარსულის ცოცხალ მაგალითს, ქვეყნისა და მოყვასის სამსახურისთვის გაწეულს. მიუხედავად იმისა, რომ ორიათასწლოვანი ისტორიის მანძილზე საუკეთესო ნაწილი ჩვენი ერის ეწირებოდა ქრისტეს რწმენას და სამშობლოს დაცვას, მიუხედავად იმისა, რომ ათეისტური რეჟიმის პირობებში ყველაზე ღირსეული და გამორჩეული მამულიშვილი ერთიანად მოსპეს და გაანადგურეს, ქართულ გენში გმირული სული მაინც ვერ ჩაკლეს, თქვენც ამ გენის გამოვლინებანი ხართ. მინდა, გისურვოთ ჯანმრთელობა, დღეგრძელობა და ქვეყნის სამსახურისთვის კვლავაც დაუღალავი მუშაობა. ასევე, მინდა დავლოცო თქვენი გარდაცვლილი თანამოძმენი და შევთხოვო უფალს მათი სულთა ცხოვნება, ხოლო მათი შთამომავლების, ოჯახის წევრებისა და ახლობლების მშვიდობით კურთხევა. მაცხოვრისა და უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მაძლი და წყალობა და ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის მეოხება არ მოგკლებოდეთ თქვენ და სრულიად საქართველოს“, - ნათქვამია პატრიარქის მიმართვაში.

ვეტერანებს ასევე მიულოცა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ. მისი განცხადებით, სახელმწიფოს

სიძლიერე განისაზღვრება იმით, როგორია მისი დამოკიდებულება სამშობლოს დამცველებისადმი. პრემიერმა თავის გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა წინა ხელისუფლების მიმართველობის დროს ვეტერანებისადმი დამოკიდებულებაზე.

„მინდა მოგილოცოთ ვეტერანთა დღე ჩვენს ძვირფას ვეტერანებს, თავდაცვის ძალების, პოლიციის, სპეციალური სამსახურების ღირსეულ მებრძოლებს, სამშობლოსთვის თავდადებულ ადამიანებს.

ვეტერანი ერთ-ერთი ყველაზე საპატიო სტატუსია ნებისმიერ საზოგადოებაში, რომლისთვისაც თავისუფლება უმთავრესი ფასეულობაა. ვეტერანების კეთილდღეობაზე ზრუნვა, თქვენი ღვაწლისა და გმირობის სათანადო დაფასება ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან ჩვენი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. ის, რომ წელს ამ დღეს მეთედ აღვნიშნავთ, სწორედ ამის დასტურია.

წინა ხელისუფლების დროს არ არსებობდა მყარი სოციალური გარანტიები, საყოველთაო დაზღვევის მინიმალური პაკეტიც კი ვეტერანებისთვის. ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ჩვენ დავიწყეთ აქტიური მუშაობა ამ მიმართულებით. საფუძველი ჩავუყარეთ ვეტერანთა საქმეების სამსახურის შექმნას და ვეტერანებზე ზრუნვა პრიორიტეტად ვაქციეთ. ამ წლების განმავლობაში ჩვენ არაერთი ნაბიჯი გადავდგით თქვენი დამსახურებების სათანადოდ დასაფასებლად“, - განაცხადა პრემიერმა.

**ცნობისთვის:** საქართველოში ვეტერანის დღე 2014 წლიდან აღინიშნება.



## საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ახალი შენობა აშენდება

ნანანა ტაპიძე 593 10 15 17

აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ნინო ნიჟარაძე საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ახალ ხელმძღვანელს ნიკოლოზ ჩიქოვანს შეხვდა.

შეხვედრაზე პაციენტთა გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების პროცესში არსებული გამოწვევები და დაგეგმილი სიახლეები განიხილეს.

აჭარის მუნიციპალიტეტებში საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის 5 რაიონული სამსახური ფუნქციონირებს. დღე-ღამის განმავლობაში, მოსახლეობას 26 სასწრაფო სამედიცინო ბრიგადა, 3 რეანიმობილი და 300-ზე მეტი ადამიანი ემსახურება. ქობულეთის, ხულოს, შუაჩვენისა და ქედის სამსახურები უკვე ახლად აშენებულ შენობებში საქმიანობენ.

- აჭარის მთავრობის გადაწყვეტილებით, საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ბათუმის სამსახურისთვის ახალი შენობა აშენდება.



დაწესებულება რესპუბლიკური საავადმყოფო-ლინიკასთან ერთად განთავსდება. შენობის ფოს ტერიტორიაზე, ქ. ბათუმის №1 პოლიკ-საპროექტო სამუშაოები დასასრულს უახლოვდება“, - განაცხადა ნინო ნიჟარაძემ.

**საპარლამენტო არჩევნების თანხები მოვლენები...**

**რატომ - 1921 წლიდან? გაზეთ «აჭარის» ისტორიის სათავეებთან**

ISSN 2720-8702

9 772720 870003

**გამოირჩეით გაზეთი «აჭარა»!**

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციის «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან!» ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აჭარი! წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 577 20 43 55.



საკარლამენტო არჩევნების თანმდევი მოვლენები...

თემატარაკი 595 85 80 06

არჩევნებამდე ორ კვირაზე ნაკლები დარჩა და პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო კამპანია აქტიურად გრძელდება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში

15 ოქტომბერს საქრთული ოცნებამ საარჩევნო კამპანიის ფარგლებში გასვლითი რეგიონული ღონისძიებები სამეგრელო-ზემო სვანეთში გააგრძელა. შეხვედრაზე იმყოფებოდნენ და მოსახლეობას სიტყვით მიმართეს მმართველი პარტიის დამფუძნებელმა ბიძინა ივანიშვილმა, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ, საქრთული ოცნების თავმჯდომარე ირაკლი ლარიბაშვილმა, პარტიის აღმასრულებელმა მდივანმა მამუკა მდინარაძემ, პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა და თბილისის მერმა კახა კალაძემ.

აღნიშნულ შეხვედრას ერთგვარი ექსცენსი მოჰყვა. „ნაციონალური მოძრაობის“ ერთერთი ლიდერის, გიორგი მუმლაძის თქმით, ზუგდიდში, სტენის კონსტრუქციის დაშლის დროს, ადამიანი გადმოვარდა და გარდაიცვალა. ამ ინფორმაციას გამოეხმაურა საქრთული ოცნება.

ოპოზიციაში აზრთა სხვადასხვაობაა. მათი ნაწილი ნიკა გილაურის გაპრემიერებაზე თანახმა არაა. ისინი ფიქრობენ, რომ პრემიერ-მინისტრი არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ უნდა წარმოადგენდეს. „ქართულ ქარტიაზე“ ხელმძღვანელ ოპოზიციის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ ახლა კონცენტრაცია მხოლოდ მოახლოებულ არჩევნებზე უნდა გაკეთდეს და ტექნიკური მთავრობის დაკომპლექტებაზე საუბარი არჩევნების შემდეგ უნდა გაგრძელდეს

„ამ სამარცხვინო და არაადამიანური ტყუილის მიზანი პარტიის საპატიო თავმჯდომარესთან, ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირების მცდელობაა.

იმდენად არის გაოგნებული რადიკალური ოპოზიცია ზუგდიდში საქრთული ოცნების მიერ ჩატარებული შთაბეჭეტადვი შეხვედრით, რომ მსგავსი ბნელური მეთოდით ცდილობენ საზოგადოების შეცდომაში შეყვანას. გარდა იმისა, რომ „ნაციონალური“ ლიდერის მიერ გავრცელებული ტყუილი არის ბნელური პროვოკაცია, ჩვენ ამ საცრურს განვიხილოთ წინასაარჩევნო პროცესზე მავნე ზეგავლენის მოხდენის მცდელობად“, - აღნიშნულია განცხადებაში.

მიმდინარე კვირაში საქართველოს უსაფრთხოების სამსახურმა გავრცელა განცხადება, სადაც მკაფიოდ არის ხაზგასმული არჩევნების წინ მოსალოდნელი პროვოკაციების შესახებ. მათი ინფორმაციით, პოლიტიკურ

წრებთან დაკავშირებული ჯგუფები, საქართველოში მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების წინა დღეებში, გეგმავენ ხელოვნური ინტელექტის და სხვა თანამედროვე ტექნოლოგიების მეშვეობით დამონტაჟებული, ფალსიფიცირებული ვიდეო და აუდიოჩანაწერების გავრცელებას. სუსის ამ განცხადებას მოჰყვა გამოხმაურებები მმართველ გუნდში.

პრემიერ ირაკლი კობახიძის თქმით, განსაკუთრებული ყურადღებაა საჭირო, რომ ამ არჩევნებზე ვერავინ შეძლოს რაიმე ტიპის ნეგატიური გავლენის მოხდენა. მთავრობის მეთაურის ინფორმაციით, განცხადებაში საუბარია პოლიტიკურ ძალებზე, რომლებსაც ქვეყნისთვის სიკეთე არ სურთ, ასევე, რადიკალური ოპოზიციაზე და მათ უცხოელ მფარველებზე.

აღნიშნულ ინფორმაციას გამოხმაურებები მოჰყვა ოპოზიციაშიც. „ძლიერი საქრთული - ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის“ პოლიტსაბჭოს წევრ თამაზ დათუნაშვილის თქმით, სუსის მიერ გავრცელებული ინფორმაცია კომიკურია.

„ეს პოსტი ცალსახად კომიკური და შეუ-



ციის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ ახლა კონცენტრაცია მხოლოდ მოახლოებულ არჩევნებზე უნდა გაკეთდეს და ტექნიკური მთავრობის დაკომპლექტებაზე საუბარი არჩევნების შემდეგ უნდა გაგრძელდეს.

ხელმძღვანელი პოლიტიკური ძალები ადასტურებენ ქარტიის მიმართ ერთგულებას,

ლობით ვერ ვარ აღფრთოვანებული, რადგან „ლელოს“ და „გახარის“ პარტიის ცუდი პრეცედენტის მომსწრენი ვართ, მაგრამ ნიკა გილაურის პრემიერად წარადგინა თუ გამოუვიდა, ე.ი საქრთული ოცნებამ შეძლო და საკუთარი პრემიერობის კანდიდატი შემოუყვანა“, - აღნიშნა იაგო ხვიჩია ეურნალისტებთან საუბარში.

რაც შეეხება მმართველ პარტიას, სალომე ზურაბიშვილის ქმედებები მათთვის სასაცილო და აბსურდის თეატრია. მმართველი გუნდი დარწმუნებულია, რომ ტექნიკური მთავრობის დაკომპლექტება პრეზიდენტს 26 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ აღარ დასჭირდება.

„ნოემბრის დასაწყისში შედგება პარლამენტის პირველი სხდომა, დაკომპლექტდება ნორმალური მთავრობა და არა ე.წ. ტექნიკური მთავრობა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის განვითარებას“, - განაცხადა პრემიერმა ირაკლი კობახიძემ.

რაც შეეხება სალომე ზურაბიშვილთან ნიკა გილაურის შეხვედრის შეფასებას, მმართველი პარტიის ვარაუდითაც პრემიერობის კანდიდატობას უკავშირდებოდა.

შეგახსენებთ, საქართველოს პრეზიდენტმა ოპოზიციურ ძალებთან მოლაპარაკებები დაიწყო მიმდინარე წლის 7 ოქტომბერს და სამი დღის განმავლობაში ცალ-ცალკე გამართა შეხვედრები 4 ოპოზიციურ ჯგუფთან - „ძლიერი საქართველო“, „კოალიცია ცვლილებისთვის“, „ერთიანი ოპოზიციის“ - ნაციონალური მოძრაობა“, „გიორგი გახარია - საქართველოსთვის“.

რა ბედი ეწევა საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის ინიციატივას ტექნიკური მთავრობასთან დაკავშირებით, 26 ოქტომბრის არჩევნები გვიჩვენებს.

ქრონიკა

ბათუმში უძრავი ქონების და ტურიზმის რიგით მეორე ბიზნესფორუმი გაიმართა სახელწოდებით „შენება მდგრადი მომავლისთვის“. მონაწილეები აჭარის საინვესტიციო და ტურისტული პოტენციალს, ასევე, რეგიონის უძრავი ქონების ბაზარს გაეცნენ. ბიზნესფორუმზე, პანელური დისკუსიების ფორმატში, სხვადასხვა თემაზე იმსჯელეს, კერძოდ: უძრავი ქონების ტენდენციები და შესაძლებლობები, მდგრადი ტურიზმის განვითარება, განათლება - განათლების ქალაქი, არქიტექტურა და ა.შ. აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა ჯაბა ფუტყარაძემ ფორუმის მონაწილეებს აჭარის საინვესტიციო და ტურისტული შესაძლებლობები გააცნო. სტუმრებს საინვესტიციო ვიდეოს ნახვის შესაძლებლობა ჰქონდათ. ფორუმის ფარგლებში B2B შეხვედრები გაიმართა.

აჭარაში, კერძოდ, ციხისძირში, Petra Sea Resort-ში, Pullman-ი აშენდება. ბრენდული სასტუმროსა და რეზიდენციების მშენებლობის კაფესულის ჩადების ცერემონია უკვე გაიმართა, რომელსაც პირველი ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ლევან დავითაშვილი, აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე, პროექტის პარტნიორი საერთაშორისო ტურისტული ბრენდების AAccor ჯგუფისა და მასში შემავალი ბრენდის Pullman-ის წარმომადგენლები და სხვა ოფიციალური პირები დაესწრნენ. ხუთვარსკვლავედიანი სასტუმროსა და რეზიდენციების პროექტისთვის 80 მილიონი აშშ დოლარია ვათვალისწინებული და 2028 წლის ბოლოსთვის სრული მასშტაბით ფუნქციონირებას შეძლებს. მშენებლობის პროცესში 500-ზე მეტი ადამიანი დასაქმდება, პროექტის დასრულების შემდეგ კი 250 ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნება.

აჭარის რეგიონში რეგისტრირებულ ამომრჩევლებს, კენჭისყრის დღეს, ერთი ბიულე-

ტენი გადაეცემა, რომელზეც ორ სვეტად იქნება დატანილი საარჩევნო სუბიექტები საქართველოს პარლამენტისა და აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისთვის. ამომრჩეველმა სპეციალური მარკერი საარჩევნო ბიულეტენის ორივე სვეტში უნდა გააფერადოს/მოინიშნოს მისთვის სასურველი მხოლოდ ერთი პარტიის/საარჩევნო სუბიექტის წინ არსებული წრე (წრის შიდა სივრცე) ანუ გააფერადოს თითოეულ სვეტში მხოლოდ თითო წრე.

„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ აჭარის უმაღლესი საბჭოს დელეგატი ქობულეთში ცოტნე ანანიძე ქობულეთში სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებს შეხვდა. ინფორმაციას სოციალურ ქსელში დელეგატი ავრცელებს. მისივე ინფორმაციით, ქობულეთის კულტურის სახლში დაეწყო მასწავლებლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელიც ქობულეთის მერიის ორგანიზებით განხორციელდა. ასევე, საზოგადოებრივ ცენტრში შეხვდა ამბულატორიის და სამედიცინო პუნქტების ექიმებსა და ექთნებს.

ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ გასტრონომიული ტურიზმის ხელშეწყობის მიზნით, ახალი პროექტი „მზისკარი“ დაიწყო. მისი მიზანია, ხელი შეუწყოს ახალი შეთავაზების განვითარებას გასტროტურიზმის მიმართულებით, ქვეყნის მასშტაბით გააერთიანოს ისეთი მასპინძელი ოჯახები, რომლებიც სტუმრებს, რეგიონისთვის დამახასიათებელი კერძების გარდა, სთავაზობენ ავთენტურ, ოჯახურ გარემოში ადგილობრივი სტუმარმასპინძლობის ტრადიციების გაცნობას: კერძის მომზადების პროცესში მონაწილეობას და გასტრონომიულ ინტერპრეტაციას. როგორც ტურიზმის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, „მზისკარი“ ქსელის მასპინძლობისთვის საჭიროა წინასწარ დამტკიცებული კრიტერიუმების

დაკმაყოფილება, როგორცაა: ოჯახის მიერ მართული სამსპინძლო ობიექტი, რომელსაც შენარჩუნებული აქვს ავთენტური გარემო; უნდა ფლობდეს საკუთარ მუზინებსა და სათესი ჰეივებს უსაფრთხოებისა და სურსათის უვნებლობის წესები და სხვა. ამ ეტაპისთვის „მზისკარის“ ქსელში რვა ობიექტია გაერთიანებული.

აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მონაცემებით, მიმდინარე სეზონისთვის 23 ათასი დოზა გრიპის ვაქცინა რეგიონისთვის გათვალისწინებული. მისი გადანაწილება კლინიკებსა და ამბულატორიებში უკვე დაიწყო. პირველ ეტაპზე, ვაქცინაცია ჩაუტარდება რისკ-ჯგუფებს, მათ შორის ქრონიკული დაავადებების მქონე პირებს, სამედიცინო პერსონალს, სკოლამდელი და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლებს და სხვა. 4 ნოემბრიდან კი გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინა ყველა მოქალაქისთვის იქნება ხელმისაწვდომი. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ინფორმაციით, ნოდერლანდებში წარმოებული 4-კომპონენტური ვაქცინა გრიპის იმ ვირუსის წინააღმდეგ მოქმედებს, რომელიც ბოლო წლებში ცირკულირებს.

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, სასტუმრო „რედისონში“ აგარაული ფორუმი აჭარის აგარაული შესაძლებლობები გაიმართა. ღონისძიება მისალომბელი სიტყვით აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ზაზა შავაძემ გახსნა. მინისტრმა აჭარაში აგარაული სექტორის განვითარების პერსპექტივებსა და ამ სფეროში დაგეგმილ პროექტებზე ისაუბრა. ფორუმს აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დაეწყო გაბაძე, საქართველოს აგარაული და ციფრული სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე თენგიზ ნასარიძე, სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორი დავით წითლიძე, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუ-

ფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

24-25 ოქტომბერს, სოფლის ტურიზმის ფესტივალი „განდავანა“ ტრადიციულად საშემოდგომო დეკორაციებით გაფორმებულ ევროპის მოედანზე გაიმართება. ორი დღის განმავლობაში, ფესტივალის სტუმრებს საშუალება ექნებათ დააგემოვნონ აჭარული კერძები, ჩაერთონ კულინარიულ მასტერკლასებში, დაესწრონ ფოლკლორულ წარმოდგენებს, შეიძინონ ხელნაკეთი ნივთები, სოფლის ნობათი, გაცნონ აჭარულ ტრადიციებსა და კულტურას, ისაამოწონ მუსიკალური პროგრამით, იმოგზაურონ აჭარულ სოფლებში და ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ქალაქიდან გაუსვლელად.

ქვემო ქართლის, სამეგრელოს და მაღალმთიანი აჭარის რიგი სოფლების მოსახლეობა სანოტარო მომსახურებას საცხოვრებელ სახლთან ახლოს მიიღებს. მომსახურება „მოზილური იუსტიციის სახლის“ საშუალებით განხორციელდება და საწყის ეტაპზე ხელმისაწვდომი ექნება სოფლების - ამალოს, ანაკლიის, ლორჯომის და ხიხაძირის მოსახლეობისთვის. პირველი სანოტარო მომსახურება „მოზილური იუსტიციის სახლის“ ფარგლებში დმანისში, სოფელ ამალოს მოსახლეობას ნოტარიუსთა პალატის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ, ნოტარიუსმა მარიკა ვაგოლაძემ გაუწია. პროცესს ნოტარიუსთა პალატის გამგეობის თავმჯდომარე ეკატერინე ნანდოშვილი და იუსტიციის სახლის ხელმძღვანელი ლაშა ლობჯანიძე დაესწრნენ. სერვისის მიწოდების გეოგრაფიული არეალი ეტაპობრივად გაიზარდება და მოიცავს ყველა იმ სოფელსა თუ მაღალმთიანი სტატუსის მქონე დასახლებას, სადაც სანოტარო მომსახურება სათანადოდ არ არის ხელმისაწვდომი ან რაიმეხნო არსებული სანოტარო ბიურო რიგი სოფლების მოსახლეობისთვის შორ მანძილზე ფუნქციონირებს.

# მივალნავთ თუ არა მსოფლიოს ახალ მართლწესრიგს მშვიდობიანი გზით?

ლუაზა ხომიტი 593 50 82 69

ანალიტიკოსები აცხადებენ, რომ დღეს მსოფლიო დგას მიჯნაზე - მიმდინარეობს ახალი მართლწესრიგის დამყარების პროცესი. ეს განპირობებულია სხვადასხვა საყურადღებო და მნიშვნელოვანი მოვლენით, რისი გამოძახილიცაა რუსეთ-უკრაინის ომი, ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებით. ამ ეტაპზე შემაჯავებელია ირან-ისრაელის დაპირისპირება

აღსანიშნავია ჩინეთის როლი და ფუნქცია საერთაშორისო პოლიტიკაში. ეს მნიშვნელოვანი საკითხებია - შეძლებს თუ არა მსოფლიო თანამეგობრობა, დაძლიოს გამოწვევები და ახალ მართლწესრიგს მშვიდობიანი გზით მიადგინოს... ეს გარკვეულწილად დამოკიდებულია მსოფლიო პოლიტიკის აქტორებზე, მათ პრინციპულ პოზიციას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს უკრაინის და მათ შორის პოსტსაბჭოთა ქვეყნების მომავლისთვის... - ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე გვესაუბრება ბუსუის იურიდიული და სოციალური მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი **ლევან ჯაჭელი**.



კურთან ერთად ეკონომიკური კეთილდღეობა აინტერესებთ. ჩინეთი ფიქრობს, რომ ეკონომიკური სიძლიერით შეძლებს პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობას, აშშ კი პირდაპირ აფიქსირებს, რომ ეკონომიკურ ინ-

**|| - წინაპირობები და საფრთხე დიდია. რეალურად, რუსეთ-უკრაინაზე მეტი საფრთხე აქ არის, რადგან ისრაელს გარშემო არაბული სამყარო აკრავს. ეს ისტორიული დაპირისპირებაა და მათ სწამთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს, შეძლებენ ისრაელის განადგურებას, რის საპირისპიროდ ისრაელმა შეიძლება ბირთვული იარაღიც კი გამოიყენოს. მას ამის მზაობა გააჩნია, ის არ ემორჩილება არც გაეროს და არც ამერიკას. ისრაელი თვითგადარჩენისთვის იბრძვის, მაგრამ რა გზებითა და მეთოდებით, ეს არის საკითხავი, თუმცა რამდენად შეუძლია სხვა გზებით ამ შედეგის მოკლე ვადებში მიღწევა, ეს სხვა საკითხია**

- მსოფლიოს ახალი წესრიგი დღესდღეობით აქტუალური საკითხია, ამდენად, საინტერესოა მისი ანალიზი საბჭოთა კავშირის დაშლიდან დღემდე...

- საბჭოთა კავშირის დაშლამ განაპირობა საუბრების დაწყება იმაზე, რომ საჭიროა მსოფლიო წესრიგის გადახედვა. არავინ ჰქონდა იმის ილუზია, რომ საბჭოთა კავშირი, როგორც აქტორი, გაქრებოდა მსოფლიო არენიდან და შენარჩუნდებოდა რაღაც პარტიტული საწყისები. ყველა ესმოდა, რომ ეს სიცარიელე დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, არც ოპონენტებმა აღიარეს რუსეთის სამართალმემკვიდრეობა და არც პარტნიორებმა მიიღეს იგი სათანადო დონის რესურსების და სიძლიერის მქონედ. შესაბამისად, მართლწესრიგის გადახედვის წინაპირობა მომწიფდა იმიტომ, რომ მოულოდნელი განვითარება ჰპოვა საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად განვითარებულმა საერთაშორისო მოვლენებმა. ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ახალი მსოფლიო წესრიგი აუცილებელი პირობა, ობიექტური საჭიროებაა იმიტომ, რომ არ გამართლდა არც რუსეთის ამბიციის და არც დასავლეთის სწრაფვა და მოლოდინი, რომ დასავლეთმა საბჭოთა კავშირი და მათი ჰეგემონია შეუვალა და უკონკურენტო იქნებოდა.

- როგორ მოქმედებს რუსეთ-უკრაინის ომი ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირებაზე?

- რუსეთ-უკრაინის ომს მე დავარქმევდი ამ პროცესის გვირგვინს იმიტომ, რომ ისინი უსისხლოდ, მშვიდობიანად ვერ შეთანხმდნენ ახალ მსოფლიო წესრიგზე. აქედან გამომდინარე, რუსეთი გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა, მისი როლი და ფუნქციები საერთაშორისო არენაზე რომ ეღიარებინათ, მას დასჭირდა ამ ზომებისთვის მიემართა, რაც, ცხადია, უკანონოა. როგორც ცნობილია, თავის დროზე კონდოლიზა რაისის მედვედევმა შესთავაზა მსოფლიოს ხელახალი გადანაწილება. კონდოლიზა რაისის იმდენად თავდაჭერილი იყო, რომ უარი უთხრა და აშშ-მა მიიღო ამ უარის შედეგი ჩერ სირიაში, მერე უკრაინაში, მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში, სადაც დღესაც მიმდინარეობს კონფლიქტები.

- აშკარაა, რომ მსოფლიო მრავალპოლუსიანია, ამ მხრივ აშშ-ს, ევროკავშირს, ჩინეთს და რუსეთს ეგრაზიული სივრცეში რა ინტერესები ამოძრავებთ და ერთმანეთის მიმართ რა ზომებს მიმართავენ?

- დღეს მსოფლიოს სახელმწიფოები გაყოფილია, მათი ერთი ნაწილი - პოლიტიკურ გავლენებზე, მეორე კი ეკონომიკურ ინტერესებზეა ორიენტირებული. რუსეთი და მისი ბანაკი იდეოლოგიურად დამუხტულია პოლიტიკური გავლენის მოსაპოვებლად გარკვეულ სახელმწიფოებსა და ერებზე, მაშინ როცა დასავლეთს, აშშ-ს, ჩინეთს პოლიტი-

ტიკის ცხოველი დღე არის იმის დასტური, რომ შესწევს ასეთ დიდ სამხედრო მანქანასთან დაპირისპირებისა და გადარჩენის ძალა. მთავარი ისაა, რომ ყოველი დღე რუსეთის წინააღმდეგ მუშაობს, გამოჩნდა, რომ რუსეთის სიძლიერე საპნის ბუშტია, მისი პოტენციალი მითითა და ის ნამდვილად გზისტენციალური გამოწვევების წინაშე დგას იმიტომ, რომ თუ უკრაინაზე წაიპოვება უფრო მაშინ ნატოს ბლოკში შემავალი და უფრო მალალი პოტენციალის მქონე სახელმწიფოებთან დასაპირისპირებლად მისი შესაძლებლობები ნიშნავს.

- რა უნდა ილონოს დასავლეთმა, რომ ეს ომი უკრაინის სასარგებლოდ დასრულდეს?

- არ მიატოვოს უკრაინა, არ უთხრას უარი სამხედრო დახმარებაზე. გაეროს წესდებით წევრ ქვეყნებს თავისთავად აკისრიათ ვალდებულება, რომ დაეხმარონ ყველა სახელმწიფოს თავდაცვაში, შესაბამისად, აშშ-ის პოლიტიკა (რუსეთის სიღრმეში მისი იარაღის გამოყენება უკრაინის ეკრძალება) არამართებულია. ეს საკითხი არ უნდა იდგეს დღეს წესრიგში იმიტომ, რომ თავდაცვა ნიშნავს ყველა რესურსის გამოყენებას, რაც უკრაინის გადარჩენას შეუწყობს ხელს (აქ იგულისხმება სამხედრო ობიექტებზე იერიში). რუსეთი არ ერიდება მშვიდობიანი მოქალაქეების აწიოკებასაც, რის გამოც არათანაბარ პირობებში იმყოფებიან მხარეები. ამიტომ ჩემთვის აშშ-ის ლოგიკა გაუგებარია. რუსეთს რა ბირობების ჩადენაც შეეძლო, ყველაფერი გააკეთა.

- ანალიტიკოსები აცხადებენ, რომ ჩინეთს აწყობს რუსეთ-დასავლეთის დაპირისპირება...

- ამდგომეულ წყალში თევზის ჭერა ადვილია. ჩინეთი ამ პრინციპით ხელმძღვანელობს. მას აქვს ეკონომიკური ინტერესები და ამჟამად მოგებული რჩება.

- ნათელია, რომ მსოფლიოში არსებობენ სახელმწიფოები, რომლებიც არ ემორჩილებიან საერთაშორისო სამართლის ნორმებს, რას აკეთებს გაერო სახელმწიფოების სუვერენიტეტის დასაცავად?

- გაეროს შექმნა განპირობებული იყო მოლაპარაკებების სივრცის შესაქმნელად, დემოკრატიის ერთგვარ შექმნად, რათა აქ ერთმანეთს შეხვედოდნენ სხვადასხვა ცივილიზაციის, სხვადასხვა ინტერესის სახელმწიფოები და მიეღწიათ გარკვეული კომპრომისებისთვის. გაერო ალა იმისთვის, რომ დაეხმარებინათ, არამედ ბალანსისთვის შეიქმნა. მან გარანტირებაც შექმნა, ანუ მოქმედებს საბჭოთა ხუთი წევრი ორგანო, მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ბალანსი აქაც დაირღვა. აშშ-ს არასამართლიანად მიჩნდა და სხვა ქვეყნებისთვისაც გაჩნდა კითხვა - იმსახურებს თუ არა რუსეთი ადგილი ამ უშიშროების საბჭოში. რუსეთი, რა თქმა უნდა, თვლის, რომ იმსახურებს. ამ საკითხშიც ბანაკებდა დაიყო მსოფლიო... გაეროს ახლა სჭირდება ახალი რეალისტის გათვალისწინება, ახალ გამოწვევებზე პასუხის გაცემა, ახალი მსოფლიო წესრიგის დაბალანსება, რადგან

დღეს კვლავაც ჩანს, თუ რაოდენ დიდ როლს თამაშობს შეიარაღებული ძალები. აქედან გამომდინარე, რთულია, აიძულო სახელმწიფო, დაიცვას საერთაშორისო სამართლის ფორმალური წესები მაშინ, როცა შეუძლია ის დაანგრეოს, ამის გარანტიას ხომ ბირთვული პოტენციალი აძლევს. ფაქტი ერთია, რომ გაეროს გავლენები, როლი და ფუნქცია უკვე შეცვლილია და საჭიროებს გადახედვას. უფრო მეტსაც გეტყვით, როცა ერთ-ერთი სახელმწიფოს ლიდერი ბედდავს და გაეროს გენერალური მდივნის მიმართ მადისკრედიტირებელ განცხადებას აკეთებს, ამით ნათლადაა ნათქვამი, თუ რა დამოკიდებულებაა გაეროს მიმართ.

- გვერდს ვერ ავუვლით უკრაინის, ფაქტობრივად, კონფლიქტი ხანგრძლივი ომის და მონაწილეთა გამოფიტვის ფაზაშია გადასული...

- რუსეთის მხრიდან თუ შევხედავთ, რა თქმა უნდა, ომი განხრავდებოდა, რადგან იგი ომის დასრულებას დღეებში თუ არა, რამდენიმე კვირაში მაინც გეგმავდა. უკრაინის მხრიდან ეს ომი განხრავდებოდა არ არის, იგი იბრძვის თავისი სამართლიანი ინტერესებისთვის, გადარჩენისთვის და შესაბამისად,

- ისრაელ-ირანის გათვლებულ ურთიერთობაზე მინდა გკითხოთ, რამდენად რეალურია, ეს კონფლიქტი ბირთვულ ომში გადაიზარდოს?

- წინაპირობები და საფრთხე დიდია. რეალურად, რუსეთ-უკრაინაზე მეტი საფრთხე აქ არის, რადგან ისრაელს გარშემო არაბული სამყარო აკრავს. ეს ისტორიული დაპირისპირებაა და მათ სწამთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს, შეძლებენ ისრაელის განადგურებას, რის საპირისპიროდ ისრაელმა შეიძლება ბირთვული იარაღიც კი გამოიყენოს. მას ამის მზაობა გააჩნია, ის არ ემორჩილება არც გაეროს და არც ამერიკას. ისრაელი თვითგადარჩენისთვის იბრძვის, მაგრამ რა გზებითა და მეთოდებით, ეს არის საკითხავი, თუმცა რამდენად შეუძლია სხვა გზებით ამ შედეგის მოკლე ვადებში მიღწევა, ეს სხვა საკითხია.

- როგორ აისახება აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნები გლობალურ პოლიტიკაში?

- მე ამ საკითხს როგორც დადებითად, ისე უარყოფითად ვაფასებ. ვერ ვიტყვი ერთმნიშვნელოვნად, რომ აშშ-ის როლი არის დადებითი, ასევე, ვერ ვიტყვი, რომ მისი როლი უარყოფითია იმიტომ, რომ ნამდვილად საჭიროა ამერიკული ფაქტორი, რათა ცალკეულმა სახელმწიფოებმა ვერ იბოგინონ, ანუ პატარა ერები არ დაიჩაგრონ. მაგალითად, აშშ თავის მიზნებს დიალოგით და საკეთილდღეო პირობებით აღწევს, მაშინ როცა რუსეთი ამას შეიარაღებული ძალებით ცდილობს.

ბს, ანუ უხეში ძალით სურს, დაარწმუნოს ფსევდოთანამშრომლობაში... მოკლედ, ამერიკას შეუძლია გაცილებით პოზიტიური როლი ითამაშოს, ვიდრე ამჟამად თამაშობს.

- დასავლური მედიაში გავრცელებული ინფორმაცია, რომ ტრამპმა, გაპრეზიდენტების შემთხვევაში, უკრაინის რუსეთს დაუთმობს, რამდენად საფუძვლიანია მსგავსი ინფორმაციები?

- ტრამპის განცხადებით არ კეთდება აშშ-ის პოლიტიკა, მით უფრო - გლობალური. ამერიკა სისტემური მართვის ქვეყანაა, აქ ერთი პრეზიდენტი ვერაფერს გადაწყვეტს. სენატი, კონგრესი, სამოქალაქო საზოგადოება ამერიკაში ძლიერია, ისინი პრეზიდენტს არ აპატიებენ ისეთი მონაპოვრის დაკარგვას, რომელიც თაობებმა მოიპოვეს - ავტორიტეტის, იმიჯის... ახლა, ტრამპის დროს, აშშ-მა რატომ უნდა გააუფერულოს ამხელა როლი და დასახურება მსოფლიოში? ტრამპს მოუწევს ძალიან დიდი ძალისხმევა, რომ რასაც დაჰპირდა ამომრჩევლებს საარჩევნო კამპანიის დროს, იმის რაღაც ნაწილი მაინც შეასრულოს.

- დაბოლოს, რუსეთ-უკრაინის ომის შედეგი რამდენად განსაზღვრავს მსოფლიო წესრიგს და რა ელის საქართველოს?

- ამ ომის დასრულების შემდეგ დაიწყება საუბარი მსოფლიოს ახალ წესრიგზე, რომელიც გავრცელდება ისრაელის და არაბული სამყაროს ურთიერთობებზეც. რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, გააჩნია შიდა ქვეყნის მდგომარეობას, შიდა ბალანსს, პოლიტიკური პარტიების გავლენებს, მათ აქტივობებს, რას აირჩევენ, რა გზას დაადგება საქართველო. ჩვენმა ქვეყანამ საგარეო პოლიტიკაში აუცილებლად მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს, თავისი ინტერესები მკაფიოდ განსაზღვროს, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება დავკარგოთ საერთაშორისო პარტნიორები, დავკარგოთ მხარდაჭერა, რომლის მეშვეობით დინამიკურად ვითარდებით. როგორც კი გარე ძალების მხარდაჭერას დავკარგავთ, ჩვენი ყოველი შიდა პრობლემები და კიდევ ათობით წელი დავგვირდებოდა შიდა გამოწვევების დასაძლევად, რომ მოვიცალოთ საგარეო ურთიერთობებისთვის... ამ წუთში არ ვართ უკანასკნელი სახელმწიფო, ჩვენ ვართ ანგარიშგასაწევი ქვეყანა რეგიონში, უფრო მეტიც, ჩვენ პოლიტიკური, მეცნიერული, კულტურული და სპორტული მიღწევები გვაძლევს საშუალებას, რომ ვიყოთ ლიდერი ქვეყანა, რომელსაც მიზიდულობის ძალა გააჩნია. ჩვენთვის დამლაშვლები იქნება ამ მიზიდულობის ძალის დაკარგვა და იმ წერტილზე დაბრუნება, საიდანაც ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყოს. ამიტომ დია უნდა ვიყოთ მეზობლებთან სათანამშრომლოდ, ამაში თავისი წვლილი მოსახლეობამ უნდა ითამაშოს, რომელმაც მკაფიოდ უნდა იცოდეს - რა სურს და გააკეთოს არჩევანი!



# რატომ - 1921 წლიდან? გაზეთი „აჭარის“ ისტორიის სათავეებთან

რატომ არის მიჩნეული გაზეთი „აჭარის“ დაარსების თარიღად 1921 წელი, როცა ქართული პრესის ისტორია ბათუმში ბევრად ადრე იწყება? - სწორედ ამ საკითხზე გვინდა გაზეთ „აჭარის“ მკითხველთა წინაშე მსჯელობისთვის გამოვიტანოთ ისტორიის დეტალები

აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოში გაზეთი „აჭარისთვის“ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების მიზნით დამუშავდა შესაბამისი სააღრიცხვო ბარათი. ზემოაღნიშნულ შეკითხვაში გამოხატული აზრი, როგორც ამავე სააგენტოს ხელმძღვანელ ზაურ ახვლედიანის მონათხრობიდან გავიგეთ და შემდგომ ქალბატონმა მანანა ძიძიშვილმაც დაგვიდასტურა, აწ განსვენებულ ავთო ბერიძეს ეკუთვნის. იგი ამ გამოცემის დიდი გულშემატიკარი გახლდათ. გაზეთმა „აჭარამ“ საუკუნეს გადააბიჯა. მის წიაღში არაერთი სახელოვანი ურნალისტი გაიზარდა, ბევრი ქართველიც გადაიტანა და, როგორც რეგიონის ისტორიის ერთ-ერთი მემკვიდრე, დღემდე რჩება მნიშვნელოვან პერიოდულ გამოცემად.

გაზეთს რომ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭოს, საჭიროა მისი წარმოშობის საკითხების დაზუსტება. დღემდე არსებული ინფორმაციით, გაზეთი „აჭარის“ თავდაპირველად „უწყებები“ ერქვა, რომელიც 1921 წლიდან ქართულ და რუსულ ენებზე გამოდიოდა.

## პრესის ისტორია ბათუმში 1921 წელზე უფრო ადრე დაიწყო და თუ გაზეთი „აჭარის“ წარსული გვაინტერესებს, 1921 წელზე ვერანაირად ვერ შევჩერდებით. ცხადია, ამგვარ კატეგორიულობას შესაბამისი გიგური მტკიცებულებები?

იგი ბათუმის საოლქო რევიზიის და მე-11 წითელი არმიის პოლიტიკური განყოფილების ორგანო იყო. 1922 წლის 1-ელი ივნისიდან „უწყებები“ „პროლეტარული ბრძოლა“, ხოლო 1923 წლის აპრილიდან „ბრძოლა“ ჩაენაცვლა. 1924 წლის 18 მარტიდან გამოდიოდა გაზეთი „ფუნა“. იგი თავის წინამორბედ გამოცემებთან შედარებით, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის უფრო შესაფერისი, თემატურად მრავალფეროვანი, სისტემური და მდგრადი ხასიათის გაზეთი იყო. აღნიშნული სახელწოდებები „ფუნა“ 1929 წლის 17 მარტამდე იარსებდა. შემდგომ, 1929 წლიდან 1936 წლის 6 თებერვლამდე გამოდიოდა გაზეთი „საბჭოთა აჭარისტანი“, 1936-1990 წლებში - „საბჭოთა აჭარა“, ხოლო 1990 წლის 18 მარტიდან დღემდე გამოდის გაზეთი „აჭარა“.

ეს გამოცემა, როგორც აღვნიშნეთ, დღემდე გავრცელებული ინფორმაციით, თავის ისტორიას 1921 წლიდან იწყებს, თუმცა ისიც ცნობილია, რომ ქართული პრესის ისტორია ბათუმში 1921 წელზე ადრე დაიწყო და გაჩნდა ლოგიკური კითხვა - რატომ არის მიჩნეული პრესის სათავედ 1921 წელი?

ამ კითხვაზე პასუხის მისაღებად უპირატესია გაზეთი „აჭარის“ წინამორბედი, თუმცა სხვა სახელწოდების გაზეთების საიუბილეო ნომერების თარიღების თანმიმდევრობას მივადევნოთ თვალს. აღსანიშნავია, რომ 1928 წლის 27 მაისს საიუბილეო 120-ე (მე-2000) ნომერი დაიბეჭდა. 1971 წელს გაზეთმა „საბჭოთა აჭარა“ არსებობის ორმოცდამეათე წლისთავი იხეიმა, რაც 1921 წლიდან იანგარიშება. 1991 წელს გაზეთი „აჭარის“ 70 წლისთავი, ხოლო 2021 წელს გაზეთის საუკუნოვანი იუბილე აღინიშნა. ჩვენი აზრით, მოცემულ შემთხვევაში აჭარა, რომ საქმე გვაქვს ერთგვარ ინერციასთან, რომლის ათვლა საბჭოთა პერიოდში, ბუნებრივია 1921 წლიდან დაიწყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ბოლო დრომდე შემოინახა თავი და უმეტესწილად, იმიტომაც, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდში ეს ინერცია ისტორიკოსთა, მათ შორის პრესის ისტორიის მკვლევართა მუშაობის მიღმა განვითარდა.

ქართული პრესის ისტორიას, მათ შორის ბათუმშიც, უფრო ღრმა ფესვები აქვს და ამ საკითხზე არაერთი საინტერესო მონოგრაფია, სხვადასხვა სახის პუბლიცისტური თუ სამეცნიერო ხასიათის ნაშრომი მოგვეპოვება. ეს ისტორია ისედაც ცნობილია, ანტიკომუნისტურ აქ არ შევჩერდებით. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ პრესის ისტორია ბათუმში 1921 წელზე უფრო ადრე დაიწყო და თუ გაზეთ



„აჭარის“ წარსული გვაინტერესებს, 1921 წელზე ვერანაირად ვერ შევჩერდებით. ცხადია, ამგვარ კატეგორიულობას შესაბამისი არგუმენტაცია ესაჭიროება.

სად უნდა ვეძებოთ საამისო ლოგიკური მტკიცებულებები? ბუნებრივია, ისევ და ისევ ბათუმში გამოშვებულ გაზეთებში. საკითხი დაინტერესებული საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ ბათუმში, რა თქმა უნდა, 1878 წლის შემდგომ პერიოდში, სხვადასხვა სახის

## 1921 წელზე უფრო ადრე დაიწყო და თუ გაზეთი „აჭარის“ წარსული გვაინტერესებს, 1921 წელზე ვერანაირად ვერ შევჩერდებით. ცხადია, ამგვარ კატეგორიულობას შესაბამისი გიგური მტკიცებულებები?

გაზეთი გამოდიოდა. თავდაპირველად ეს გაზეთები რუსულენოვანი იყო. გვხვდება ოსმალურიც. შედარებით გვიან იწყებს გამოსვლას ბათუმში ქართულენოვანი გაზეთებიც. ჩვენი აზრით, გაზეთის ენას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, მით უფრო მოცემულ შემთხვევაში. შესაბამისად, გაზეთი „აჭარის“ წინამორბედი გაზეთებს შორის ქართულენოვან გაზეთებს უპირატესობა უნდა მივანიჭოთ, რამდენადაც ქართულენოვანი გამოცემა საქართველოში უფრო მეტ მკითხველზე იქნებოდა გათვლილი, რომ არაფერი ვთქვათ ენის კულტურულ-ისტორიულ და ეროვნულ მნიშვნელობაზე.

გაზეთი „აჭარის“ ისტორიულ ექსკურსებში გამოიკვეთა შემდეგი საკითხები, რომლებიც მნიშვნელოვანია საკუთრივ „აჭარის“ ისტორიულად წინამორბედი გაზეთების ქრონოლოგიური თანმიმდევრობისა და მათ შორის მემკვიდრეობითობის დასადგენად. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, განვსაზღვროთ, რა კრიტერიუმები შეიძლება შეირჩეს სხვადასხვა სახელწოდების გაზეთებს შორის მემკვიდრეობითი ხაზის დასადგენად? ბათუმში გამოშვებული გაზეთების მრავალფეროვნებას თუ დავაკვირდებით, ლოგიკური შევთანხმდეთ, რომ ეს მრავალფეროვნება იმ დროისათვის საქართველოსა და ზოგადად, სამხრეთ კავკასიისათვის დამახასიათებელია პოლიტიკურმა პროცესებმა განაპირობა. ამ შემთხვევაში ბათუმის პოლიტიკური მმართველობის სადავეების მქონე ელიტისათვის მოსახლეობის უფრო ფართო ფენების მიმხრობისა და ინფორმირებისთვის ქართულენოვანი გაზეთი პრიორიტეტული იყო.

საქმე ისაა, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ბათუმში სწრაფად განვითარდა. ბუნებრივია, ამან ქალაქს ბევრი საინტერესო სიახლე და პერსპექტივა შესძინა, რაც პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ თუ დემოგრაფიულ პროცესებთან ერთად პრესის მრავალფეროვნებაშიც გამოიხატა. იმ დროისათვის ქალაქი ბათუმი და ბათუმის ოლქი, როგორც დანარჩენი საქართველოს სხვა მხარეები, მეფის რუსეთის შემადგენლობაში იყო და პრესაც რუსულ ენაზე გამოდიოდა. XX საუკუნის დასაწყისიდან თანდათანობით გამოიკვეთა, რომ ბათუმის მოსახლეობისათვის ქართულენოვანი გაზეთის არარსებობა ერთგვარ პრობლემას წარმოადგენდა და შესაბამისი მოთხოვნილებაც არსებობდა. ეს მოთხოვნილება, უმთავრესად, ქვეყნის სახელმწიფოებრივი განვითარების შესახებ განსხვავებული იდეოლოგიური შეხედულებების მომხრეობამაც განაპირობა. ბათუ-

მი მაღალი დემოგრაფიული, ეთნიკური და კულტურული მარვენების მქონე მნიშვნელოვანი საეჭირო-სატრანზიტო დანიშნულების ქალაქად ჩამოყალიბდა და ამიტომაც იყო, რომ ბათუმისადმი ყურადღების ნიშნად, საქართველოს სხვა ქალაქებიდან გაზეთის რედაქტორები აჭარაში თავიანთ გაზეთებს უფასოდაც აგზავნიდნენ. ბუნებრივია, რომ ქალაქის პოლიტიკურმა მრავალფეროვნებამ აუცილებელი გახადა საკუთარი ქართულენოვანი გაზეთის გამოცემა, რომელიც ოფიციალური სახელისუფლებო ორგანოც იქნებოდა და ხელს შეუწყობდა არსებული პოლიტიკის მხარდაჭერას. ამდენად, ზემოთ განვითარებული მოსაზრებების ფონზე, ქართულენოვანი გაზეთის, ასევე, მის ოფიციალურ სახელისუფლო-სამთავრობო ნიშის განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ.

კვლევის ამ ეტაპზე, არსებული ინფორმაციით, ბათუმში პირველი ქართული პერიოდული პრესა „ბათუმის მოამბე“ იყო, რომლის პირველი ნომერი 1911 წლის 7 მარტს გამოშვდა. მისი რედაქტორი გახლდათ პეტრე მეფისაშვილი. ბათუმისათვის ამ გაზეთის პირველქართულობაზე თავად რედაქტორი საუბრობს გაზეთის პირველი ნომრის პირველივე გვერდზე: „დიდით ბედნიერი ვარ, რომ ხელმძღვანელობა პირველ ქართულ პერიოდულ ბეჭდვითი სიტყვის ორგანოსი, ამ საქართველოს ნაწილში, რომლის სახელიც მესხეთ-კლარჯეთია და ძველათ ზემო ქართლს ეძახდნენ, ბედმა მარჯუნა მე, მის ერთ შვილთაგანს“. „ბათუმის მოამბე“ ეროვნულ-პატრიოტული მიმართულების პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი იყო (გამომცემელი - ე. გერმანი). გაზეთი კვირაში ერთხელ, ორშაბათობით, გამოდიოდა. ნომ-

## 1921 წელზე უფრო ადრე დაიწყო და თუ გაზეთი „აჭარის“ წარსული გვაინტერესებს, 1921 წელზე ვერანაირად ვერ შევჩერდებით. ცხადია, ამგვარ კატეგორიულობას შესაბამისი გიგური მტკიცებულებები?

რის ღირებულება ერთი შაური იყო. რედაქცია მდებარეობდა ბათუმში, მარინის პროსპექტის (დღევანდელი მემედ აბაშიძის გამზირი) №6-ში, მეტეხაშვილის სახლში. როგორც, ზოგადად, იმ დროის სხვა გაზეთებში, „ბათუმის მოამბის“ პირველ გვერდზეც, უმთავრესად, სხვადასხვა სახის განცხადებები იყო განთავსებული, მათ შორის ინფორმაცია გაზეთის გამომწერთათვის. პირველ ნომერში დაბეჭდილია რედაქტორ პეტრე მეფისაშვილის საინტერესო მოწინავე სტატია. იგი წერს: „აგერ 85 წელი შესრულდა სამეხეთის ოსმალთა ბატონობისაგან თავის დახსნევიდან და მესხეთ-კლარჯეთის ქართველობას მაინც თავისებურად ეტყობა... ჩვენი მიზანია ჩვენი მცირე ძალ-ღონით, ცოტაოდენით მაინც ხელი შევუწყუთ ცოდნა-შეგნების შეტანით ქართველი ხალხის წინსვლელობას... ჩვენი დევიზი არის და იქნება: უანგარო, გულწრფელი, მიუკერძოებელი სამსახური ხალხსადმი, იმ წმინდა იარაღით, რასაც ბეჭდვითი სიტყვა ეწოდება და ამ წმინდა განზრახვით ხელს გვიდებთ სამძიმო საქმეს. მხოლოდ ამ აზრით, თავის მცირერიცხოვან თანამომქმთა გუნდს ემატება ჩვენი გაზეთი „ბათუმის მოამბე“. გაზეთის შინაარსი მრავალფეროვანი იყო, იბეჭდებოდა: ფელეტონები, განცხადებები, მცირე მოცულობის სამრეწველო რეკლამები, თუმცა უმეტესად სხვადასხვა ცნობები ქალაქის თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ. პოლიტიკურ ნაწილში გაზეთი აქვეყნებდა ინფორმაციას, როგორც კავკასიის, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაზე. ცალკე რუბრიკით იყო წარმოდგენილი „კორესპონდენციები“, სადაც საქართველოს სხვადასხვა კუთხის შესახებ იბეჭდებოდა მასალები. გაზეთი სალიტერატურო ხასიათისაც იყო და აქ მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ქართველი მწერლების ბიოგრაფიებსა და შემოქმედებას. „ბათუმის მოამბის“ მეოთხე და დღეის მდგრადობით ბოლო ნომერი 1911 წლის 28 მარტს გამოვიდა. სამწუხაროდ, კვლევის ამ ეტაპზე ჩერდებით უცნობია სხვა ნომრები.

ბათუმში შემდგომ გამოდიოდა „ბათუმის გაზეთი“ (1911 წ. 15 ივლისი - 1914 წ. 13 ივლისი), რომლის შესახებაც უფრო მეტი ინფორმაცია ცნობილი ამ საკითხით დაინტერესებული საზოგადოებისთვის. „ბათუმის გაზეთი“ პოლიტიკური და ლიტერატურული ხასიათის იყო. მას თხზილიანი ისტორია აქვს. ეს გაზეთი ქართულენოვანი იყო და თავდაპირველად, ყოველდღიურად, ხოლო 1913 წლის ივნისიდან კვირაში ორჯერ გამოდიოდა. 1914 წლის ივლისში კი დაიხურა. არსებობის

ოთხწლიანი პერიოდში სულ 414 ნომერი გამოვიდა. „ბათუმის გაზეთი“ იბეჭდებოდა მახარაძის სტამბაში, ერისთავის ქ. №10-ში (დღევანდელი გიორგი მახარაძის ქუჩა), ვაგანიანცის სახლში. „ბათუმის გაზეთი“ მიზნად ისახავდა პროვინციული მკითხველის თვალსაზრისის გაფართოებას, საზოგადოებრივ მოვლენათა მიუდგომელ-მიუკერძოებელ შეფასებას. გარდა პოლიტიკურ-ეკონომიკური საკითხებისა, „ბათუმის გაზეთი“ შექმნილია და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფერო. გაზეთის ბოლო, მეოთხე გვერდი ეთმობოდა სარეკლამო განცხადებებს, უწყებებს. ამავე გვერდზე, ცალკე სვეტში დებულა წარმოდგენილი, რომელიც მკითხველს უცხოეთიდან ახალ-ახალ ამბებს აწვდის.

შემდეგ გამოვიდა „ბათუმის ფურცელი“ (1920 წ.) - ყოველდღიური დემოკრატიული ორგანო, რომელსაც სარედაქციო კოლეგია ხელმძღვანელობდა და შიშვესის ელექტრომბეჭდვით სტამბაში ოთხ გვერდზე იბეჭდებოდა. სულ 88 ნომერია გამოცემული, პირველი ნომერი - 1920 წლის 1 სექტემბერს. „ბათუმის ფურცელი“ სოციალ-დემოკრატიული მიმართულების საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა იყო. იგი, ძირითადად, ქალაქის ყოველდღიურ ცხოვრებას ასახავდა და თემატურად მრავალგვარობით გამოირჩეოდა. „ბათუმის ფურცელის“ მუდმივი რუბრიკები იყო: „უკანასკნელი ცნობები“, „ქრონიკა“, „ქალაქის საქმეები“, „პრესა“, „უცხოეთში“, „თეატრი და ხელოვნება“, „წერილი რედაქციის მიმართ“, „სახალხო გვარდიამი“, „მეშუათა ცხოვრება“, „კომპარტიული ცხოვრება“ და სხვ. „ბათუმის ფურცელი“ დიდ ადგილს უთმობდა ქვეყნის საშინაო პოლიტიკის მიმოხილვას, ახალგაზრდა რესპუბლიკის ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენებს, აშუქებდა ბათუმისა და მისი ოლქის წინაშე არსებულ პრობლემებს, უცხოურ ამბებს. იგი უანრობრივი მრავალფეროვნებითაც გამოირჩეოდა. განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა პრობლემურ და პროპაგანდისტულ სტატიებზე. დიდი ადგილი ეთმობოდა ქალაქის თეატრალური და კულტურული ცხოვრების ამსახველ მასალას; გაზეთი ყურადღებას ამახვილებდა განათლების თემატიკაზე. გამოცემა აჭარის მკვიდრი მოსახლეობის გამოფხიზლების და ავანტიურისტ-აქტივობათა გადაბრუნებისგან ხსნის ერთადერთ გზას სწორედ საგანმანათლებლო ღონისძიებებში ხელდავდა, რისკენაც აქტიურად მოუწოდებდა ხელისუფლებას და სასწრაფო ზომების მიღებას სთხოვდა. „ბათუმის ფურცელი“ აქვეყნებდა მხატვრულ-პუბლიცისტურ ნაწარმოებებსა და ისტორიულ-სამეცნიერო თხზულებებს. მასში ხშირად მსჯელობდნენ ოლქის მართვა-გამეგობის საკითხზე, ადგილობრივ მმართველობებში კვალიფიკაციური ჩინოვნიკების მივლინებაზე და სხვა საჭირობოტო თემებზე.

აღნიშნული გაზეთის დახურვის შემდგომ ბათუმში გამოიკვეთა „ბათუმის ცხოვრება“ (1921 წ.). იგი მცირე ხნით - 1921 წლის 26 იანვრიდან 1921 წლის 29 თებერვლამდე, ყოველდღიურად გამოიკვეთდა. მისი რედაქტორი იყო კ. ქავთარაძე და იბეჭდებოდა მ. შიშვესის ელექტრომბეჭდვით სტამბაში. სულ გამოიკვეთა 46 ნომერი. ოთხგვერდიანი გაზეთის პროფილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკა იყო. გამოცემა დიდ ადგილს ბათუმში არსებული ვითარების აღწერას უთმობდა, თუმცა არანაკლები ადგილი ეკავა სამხრეთ კავკასიის (აზერბაიჯანი, სომხეთი, თურქეთი) საგარეო-პოლიტიკურ და ფართო საერთაშორისო-პოლიტიკურ საკითხებსაც. ეს იყო ადგილობრივი თვითმმართველობის, სოციალ-დემოკრატთა იდეოლოგიისა და პოლიტიკის გამტარებელი დემოკრატიული ორგანო. გაზეთი ქალაქის კულტურული ცხოვრების შესახებაც აქვეყნებდა ინფორმაციას, მათ შორის ქალაქის თეატრალურ სიახლეებსაც აანონსებდა. აქ მოღვაწეობდნენ: კ. ფირცხალაიშვილი, ი. დიდიძე, გრ. გორგაძე, ი. ტრაპაიძე, ა. ანთლუაძე, ვ. სეფისპირელი და სხვები. მათი წერილები წარმოაჩენდა მაშინდელი ბათუმისა და მისი ოლქის ყოფა-ცხოვრების სურათს, რეგიონში არსებულ რთულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებას. გაზეთის აქტუალური რუბრიკები იყო: „საქართველო და რუსეთი“, „ოსმალეთი და სომხეთი“, „უცხოეთი“, „სტამბოლის ცნობები“ და ა.შ. გაზეთში წარმოდგენილი იყო სხვა რუბრიკებიც, როგორებიცაა: „ახალი ამბები“, „მეშუათა ცხოვრება“, „პრესა“ და სხვა. მცირე რაოდენობით გვხვდება წერილები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე.



# „შენი ხმა მნიშვნელოვანია“

ლუაზა ხომბორიძე 593 50 82 69

2024 წლის საპარლამენტო არჩევნები საქართველოსთვის მრავალმხრივ მნიშვნელოვანი იქნება როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით. გაცხადდება, შეძლებს თუ ვერა მმართველი პარტია მეოთხედ ხელისუფლებაში დარჩენას და შესაძლებელი იქნება თუ არა კოალიციური მთავრობის დაკომპლექტება. ამ პროცესში განსაკუთრებული როლი დამოუკიდებელი არასამთავრობო სადამკვირვებლო ორგანიზაციებს ეკისრებათ, სწორედ მათი ვერდიქტი იქნება ის ლაკმისის ქალაქი, რომელიც არჩევნების ლეგიტიმურობას ცხადყოფს, ცხადია, ცესკოსა და სხვადასხვა პარტიის პოზიციების გათვალისწინებით. ამ საკითხებზე გვესაუბრება საჯარო მმართველობის დოქტორი, ბსუ-ის ლექტორი და ავადმჯობელ ორგანიზაცია „შენი ხმა მნიშვნელოვანია“ ხელმძღვანელი **მიზა შარტანაძე**.



შინების შემთხვევების არარსებობა და ასე შემდეგ. აქედან გამომდინარე, ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაცია აცნობიერებს თავის წილ პასუხისმგებლობას ქვეყნის ევროინტეგრაციისკენ მიმავალ გზაზე და ერთვება 2024 წლის არჩევნების სადამკვირვებლო მისიას,

**„შენი ხმა მნიშვნელოვანია“ - რა არის ამ პროექტის ძირითადი მიზანი?**

უპირველესად, მივსალმები თქვენი გაზეითის მკითხველს და მადლობას გიხდით შესაძლებლობისთვის. რაც შეეხება ჩვენს ახალ პროექტს - „შენი ხმა მნიშვნელოვანია“ და მის შემადგენელ ელემენტებს, ჩვენი ქვე-

სიძებში, განვხორციელებთ არაერთი პროექტი, რაც მიზანდასახულ ჩვენს რეგიონში ახალგაზრდებისთვის ახალი შესაძლებლობების გაჩენას, ლიდერული უნარ-ჩვევების განვითარებას, ადვოკატირებას, ლია მმართველობის პრინციპების ინტეგრაციას, ევროპული ინსტიტუტების გაეცნობას, დეზინფორმაციასთან და ჰიბრიდულ საფრთხეებთან ბრძოლას და, რა თქმა უნდა, არჩევნების დროს სადამკვირვებლო მისიებში მონაწილეობას.

**- სხვა არასამთავრობო სადამკვირვებლო მისიებთან თუ გაქვთ ურთიერთობა და რამდენად მნიშვნელოვანია მათი ჩართულობა საარჩევნო პროცესში?**

თუ გვინდა, შევქმნათ და ავაშენოთ დემოკრატიული, ინსტიტუციურად გამართული და ევროპული ტიპის სახელმწიფო, ამის ერთ-ერთი ფუნდამენტი და სწორი გზა არჩევნების თავისუფალ გარემოში ჩატარება, რადგან მხოლოდ ასეთ შემთხვევაში გვექნება ჩვენ ლეგიტიმურობა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არჩევნების შედეგების ლეგიტიმურობა, აღიარება არ მოხდება საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან, ეს ქვეყანა განწირული იქნება და მისი განვითარება თუ გაძლიერება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება. ამ პროცესში არასამთავრობო ორგანიზა-

ნისძიებებით და ამას ვაკეთებთ. დიან, აქსიომა, რომ ახალგაზრდების ჩართულობის გარეშე შეუძლებელია განვითარდეს სახელმწიფო.

**- და მინც, რატომ არის ასე ძალიან მნიშვნელოვანი არჩევნებში მონაწილეობის აქტიური მონაწილეობა?**

არჩევნებში მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ: პირველი - ეს არის მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და ვალდებულება, მეორე - რაც უფრო მაღალია ამომრჩევლის აქტიურობა, მით უფრო მაღალია არჩევნების სანდოობა და ლეგიტიმურობა, მესამე - არჩევნების არის ერთადერთი კანონიერი გზა დემოკრატიული ტიპის სახელმწიფოში არსებული ხელისუფლების მმართველობის გაგრძელებისთვის ან ახალი ძალით ჩანაცვლებისთვის.

**- წინა არჩევნებში მონაწილეობის 50 პროცენტი არ მონაწილეობდა. რა იყო ამის მთავარი მიზეზი?**

არჩევნებში დაბალი აქტიურობა პოლიტიკური პროცესებისა და იმ პარტიებისადმი უნდობლობითაა გამოწვეული, რომლებიც მასში მონაწილეობენ, რაც ნიშნობის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორია. ამას ემატება საზოგადოებაში დამკვიდრებული არასწორი მოსაზრება - „ჩემი ხმა რას წყვეტს“... ყველა იმ ამომრჩევლის, რომელიც ასე ფიქრობს, მინდა ვუთხრა: მეგობრებო, სწორედ

## დაგეგმილი გვაქვს პერმანენტული ღონისძიებები, რათა ახალგაზრდების ჩართულობა ხმის მიცემის პროცესში მაქსიმალურად გავზარდოთ. ნიშნობაში და მოსაზრება - „ჩემი ხმა რას წყვეტს“ უნდა შეიცვალოს, დაიმსხვრეს და სწორედ ამას გვინდა შევუწყოთ ხელი. ეს ნამდვილად შესაძლებელია სწორი, თანმიმდევრული და კრეატიული ღონისძიებებით და ამას ვაკეთებთ. დიან, აქსიომა, რომ ახალგაზრდების ჩართულობის გარეშე შეუძლებელია განვითარდეს სახელმწიფო

ყანა 26 ოქტომბერს ძალიან მნიშვნელოვან არჩევნებს ატარებს. 2012 წლის შემდეგ მსგავსი მნიშვნელობის და შინაარსის მქონე არჩევნები, ვფიქრობ, პირველია. ამას ემატება ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული პოლიტიკური მოვლენები, რომლებმაც შეაფერხა ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესი. ამ პროცესის ახალ ეტაპზე გადასვლა, სწორედ, საარჩევნო გარემოს შეფასებით განისაზღვრება, მასში ჩართულ სუბიექტებს კი (რეგისტრირებულ პარტიებს, არასამთავრობო თუ მედიაორგანიზაციებს) გადამწყვეტი როლი ეკისრებათ პროცესის გამჭვირვალობაში. დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია არჩევნების შედეგების აღიარება. სწორედ რომ არჩევნებია ის ერთადერთი გზა, რაც გვაძლევს საშუალებას, არსებული პოლიტიკური მმართველობის სისტემა არჩევნებით შევცვალოთ. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ლეგიტიმურობა, რაც განსაზღვრავს ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა ამომრჩევლების აქტიურობა ხმის მიცემის პროცესში (რაც უფრო მეტია ამომრჩევლის, მით უფრო მაღალია ლეგიტიმურობის ხარისხი), წინასაარჩევნო და არჩევნების დღეს თავისუფალი გარემოს არსებობა, ამომრჩევლის ნებაზე ზემოქმედების არარსებობა, გამოხატვის თავისუფლება, ხმის მიცემის პროცესის ფართულობა, მოსყიდვის და და-

იწყებს კამპანიას სახელწოდებით „შენი ხმა მნიშვნელოვანია“, რათა აჭარის რეგიონში მაქსიმალურად გავზარდოთ არჩევნებში ხმის მიცემის უფლების მქონე ამომრჩევლის აქტიურობა და საარჩევნო გარემოზე დაკვირვებით უზრუნველყოთ ამ პროცესის გამჭვირვალობა.

**- რა აქტივობები განხორციელებთ აღნიშნული პროექტის ფარგლებში?**

ჩვენი პროექტი შედგება ორი ფაზისაგან. პირველია კამპანიის „შენი ხმა მნიშვნელოვანია“ წარმოება, რომლის მიზანია აბსენტიზმის (არჩევნებში არმონაწილეობა) შემცირება და მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება, რომ ერთი ხმაც ძალიან მნიშვნელოვანია. ეს მუშაობა გაგრძელდება 24 ოქტომბრამდე. ცნობიერების ამაღლებას ვგეგმავთ სხვადასხვა აქტივობით, რაც გულისხმობს მონაწილეობას პირდაპირ კომუნიკაციას, კერძოდ, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, სკვერებში, ტრანსპორტში, უნივერსიტეტებში შეხვედრას მოქალაქეებთან, სოციალური ქსელებით ინფორმაციის გავრცელებას. მეორე ფაზა უშუალოდ არჩევნების დღეს - 26 ოქტომბერს აჭარის რეგიონში ამ პროცესზე დაკვირვება. აღნიშნავ იმასაც, რომ 2014 წლიდან აქტიურად ვართ ჩართულები საქართველოს სამოქალაქო აქტიურობის ხელშეწყობის სხვადასხვა ღონი-

ციების ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავთ, რადგან მათი სადამკვირვებლო მისიებში ჩართულობა ზრდის საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობასა და სანდოობას.

**- თქვენს ორგანიზაცია არჩევნებს, ძირითადად, ჩვენს რეგიონში დააკვირდება?**

დიან, ჩვენი მოქმედების არეალად განსაზღვრეთ აჭარის რეგიონი და შესაძლებლობების ფარგლებში დავფარავთ ექვსივე მუნიციპალიტეტს, განსაკუთრებულ ყურადღებას კი ბათუმის ოლქისკენ მივმართავთ.

**- როგორც აღნიშნეთ, ამ პროექტის მიზანია ახალგაზრდების ჩართულობა არჩევნებში...**

პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ახალგაზრდა ამომრჩევლების არჩევნებში მონაწილეობა ძალიან დაბალია. ჩვენი პროექტის და კამპანიის პირველი მიზანი სწორედ ამ მიმართებით ცნობიერების ამაღლებას გულისხმობს, რაც ახალგაზრდებში მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის, ვალდებულების გაზრდასთან არის დაკავშირებული. საამისოდ დაგეგმილი გვაქვს პერმანენტული ღონისძიებები, რათა ახალგაზრდების ჩართულობა ხმის მიცემის პროცესში მაქსიმალურად გავზარდოთ. ნიშნობაში და მოსაზრება - „ჩემი ხმა რას წყვეტს“ უნდა შეიცვალოს, დაიმსხვრეს და სწორედ ამას გვინდა შევუწყოთ ხელი. ეს ნამდვილად შესაძლებელია სწორი, თანმიმდევრული და კრეატიული ღონი-

თქვენი ერთი ხმა წყვეტს ყველაფერს და არჩევნებზე არმოსვლით უფრო აღრმავებთ ნიშნობაში, უიმედობას და ამ პროცესის ერთგვარ სტიგმატიზებას ახდენთ.

**- ცხადია, არჩევნების მნიშვნელოვანი კომპონენტია საარჩევნო გარემო, ამ მხრივ, საქართველოს ამჟამინდელი რეალობა როგორია?**

საარჩევნო გარემო, ჭრჭერებით, მშვიდია. პოლიტიკური პარტიები დაუბრკოლებლად ხვდებიან თავიანთ ამომრჩევლებს, რეგიონებში ვიზიტები აქვთ, ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებსაც ცესკოში თუ უსკოში შეუფერხებლად შეუძლიათ რეგისტრაციის გავლა როგორც სადამკვირვებლო მისიაში ჩართულ მონაწილეს და სხვა. საარჩევნო გარემოს გაუარესება და დამძიმება, ვფიქრობ, მონაწილენია არჩევნების დღის მოახლოებასთან ერთად, რადგან პოლიტიკური ტემპერატურა სწორედ ამ დროს მოიმატებს.

**- დაბოლოს, მომავალი არჩევნები განსაზღვრავს თუ არა - დასავლეთს უფრო დაგუანლოვებთ თუ დაეშორებთ?**

დიან, დაწყებული წინასაარჩევნო გარემოთი, გაგრძელებული 26 ოქტომბერს არჩევნების მიმდინარეობით განსაზღვრავს, თუ რამდენად დაუანლოვდა საქართველო დასავლეთს და გაგრძელდება თუ არა ევროინტეგრაციის პროცესი.

## რატომ - 1921 წლიდან? გაზეთ „აჭარის“ ისტორიის სათავეებთან

მე-4 გვერდიდან

აღსანიშნავია, რომ გაზეთი ეროვნულ-პატრიოტული ხასიათისა იყო. მაგალითად: „ბათუმის ცხოვრების“ მე-2 ნომერში ვკითხულობთ: „მოსკოვბაქო-ერევნის ალიანსი ახალ საქმეს ეძებს და ნერვიულობენ კომუნისტები... ცნობილია, რომ წითელი არმია მშვიდობიანი ცხოვრებისთვის არ ვარგა, წითელი არმია იბრძვის იმისათვის, რომ იშოვოს ნადავლი, გაძარცვოს სიმდიდრენი...“. გაზეთის ფურცლებზე არაერთი მსგავსი წერილი გვხვდება. „ბათუმის ცხოვრების“ გამოცემის დრო - 1921 წელი, საქართველოს ისტორიის მეტად მძიმე პერიოდს დაემთხვა, რამდენადაც ეს იყო საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის არსებობის ბოლო პერიოდი. გაზეთის რედაქცია და კანტორა განთავსებული იყო მარინის პროსპექტზე, საბაშვილის სახლის ქვედა სართულზე.

პრესის თანმიმდევრობას ასახავს ჩვენთვის საინტერესო მემკვიდრეობითობის პრინციპით. ყველა ეს გაზეთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ზოგიერთი კი ლიტერატურული ხასიათისა იყო, აშუქებდა რეგიონის სხვადასხვა საჭიროებო პრობლემას და, ძირითადად, ბათუმისა და მისი შემოგარენის ქართულენოვან მკითხველზე იყო გათვლილი. ამ გაზეთების სახელწოდებები სხვადასხვაა, თუმცა შინაარსობრივად ისინი ერთმანეთისგან არსებითად არ განსხვავდებოდა. დიან, „ბათუმის მოამბე“, „ბათუმის გაზეთი“, „ბათუმის ფურცელი“, „ბათუმის ცხოვრება“ - თითოეული მათგანი ბათუმის ცხოვრებას ასახავდა, ქალაქისა და მასთან დაკავშირებული რეგიონებისთვის იყო განკუთვნილი.

იმისათვის, რომ ვუბასუხოთ კითხვას: რატომ არის მიჩნეული გაზეთ „აჭარის“ დაარსების თარიღად 1921 წელი, როცა ქართული პრესის ისტორია ბათუმში ბევრად ადრე იწყება? ჩვენი შეხედულებით, გაზეთ „აჭარის“ ისტორიის სათავეების ძიებას რამდენიმე ვარიანტი შეიძლება განვიხილოთ:

1. 1990 წელი, როცა გაზეთს დაერქვა ის

სახელი, რომლითაც დღეს ფუნქციონირებს. ამ თარიღის მიღება ბევრ გადაულახავ წინააღმდეგობას აწყდება. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა პერიოდში ბათუმის პრესას, მართალია, იდეოლოგიური ჩარჩოების მქონე, თუმცა სტაბილური განვითარების შესაძლებლობა შეუქმნა. ეს, უპირველეს ყოვლისა, საკადრო პოლიტიკასა და პრესაში მოღვაწე სხვადასხვა თაობის მემკვიდრეობით მონაცვლეობაშიც აისახა. დაგროვდა მნიშვნელოვანი გამოცდილება, რომელიც თანამედროვეობაშიც ძალზე წარმატებულად გამოიყენება გაზეთ „აჭარისა“ თუ სხვა უწყებების ფარგლებში, თუმცა მინც არ იქნება მართებული გაზეთ „აჭარის“ ისტორიის 1990 წლიდან მხოლოდ იმიტომ დაწყება, რომ მას ამ წელს ამჟამინდელი სახელი - „აჭარა“ დაერქვა.

2. 1929 წელი, როცა გამოვიდა გაზეთი „საბჭოთა აჭარისტანი“. ამ შემთხვევაში ძირითადი აქცენტი გადაგვაქვს გაზეთის სახელწოდებაში სიტყვა „აჭარის“ გამოყენებაზე. მხოლოდ ამ მიდგომით მსჯელობა საფუძველს მოკლებულია და, ამდენად, ეს თარიღიც არ გამოდგება.

3. 1911 წელი, როცა ბათუმში პირველი ქართულენოვანი გაზეთი „ბათუმის მოამბე“ დაარსდა. ეს თარიღი ყველაზე ლოგიკურად

მიგვიჩინა გაზეთ „აჭარის“ ისტორიის საწყისის განსაზღვრისათვის. ბათუმის ირგვლივ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით კი XX საუკუნის დასაწყისიდან ყოველთვის რთული პოლიტიკური პროცესები ვითარდებოდა. სახელმწიფოებრივი განვითარების შესახებ პოლიტიკურ დაპირისპირებათა პირობებში, რასაც თან მოჰყვა სხვადასხვა პარტიული დაჯგუფების წარმოშობა. პრესას, როგორც მნიშვნელოვანი გავლენის მქონე სფეროს, ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, დღევანდელი გადასახედებიდან კი, როცა გვსურს გაზეთ „აჭარის“ ისტორიასთან მიმართებაში გარკვეული ლოგიკური პროცესები გავაანალიზოთ, ჩვენი აზრით, ამ გამოცემის ისტორიის ათვლა უნდა დავიწყოთ 1911 წლის 7 მარტიდან, როცა გამოვიდა გაზეთი „ბათუმის მოამბე“.

ბუნებრივია, ეს საკითხი სპეციალისტთა მეტ ჩართულობას, არგუმენტების ძიებას, კვლევასა და ახალიზს საჭიროებს. ველით გამოხმაურებებს და ვიმედოვნებთ, რომ ეს ასეც იქნება.

თეიმურაზ ტყეშელაშვილი

აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მენეჯერ-თანამშრომელი, ისტორიის აკადემიური დოქტორი





# „მთელი ცხოვრება სიმართლით მოვლივარ და მომავალშიც ასე გავაგრძელებ“

**თამაზ ღარჩიძე** შუახევის რაიონის სოფელ ჩანჩხალოში დაიბადა. წლების განმავლობაში შუახევის სხვადასხვა პოზიციაზე საქმიანობდა. წინა საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს საცხოვრებლად და სამუშაოდ ბათუმში გადმოვიდა. არის საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, არჩეულია 2 დარგობრივი აკადემიის აკადემიკოსად. ჰყავს 7 შვილი, 10 შვილიშვილი, 1 შვილთაშვილი. თამაზ ღარჩიძე, რომელსაც დაბადების დღე 70 წელი შეუსრულდა, ჩვენი სტუდენტია.



ეს ყველაფერი ახალი ენერჯით მავსებდა, სტიმულს მაძლევდა მომავალი საქმიანობისთვის.

- ბატონო თამაზ, სპეციალური ეკონომისტი, რამ დაგაკავშირებდა ქართულ მწერლობასთან?
- წიგნისადმი დიდმა სიყვარულმა.
- თუ გაიხსენებთ პირველ პუბლიკაციას?
- სხვადასხვა დროს ბევრს ვაქვეყნებდი სოციალურ ქსელში, განსაკუთრებით ვერცერთს გამოვყოფ.
- თავეს დროზე მონაწილეობდით ახალგაზრდულ შეკრებებში, რომლებიც თბილისსა და უცხოეთის დიდ ქალაქებში იმართებოდა. რა მოგვითხრობთ ამ შეკრებებზე?
- პირველ რიგში, შევიძინე მრავალი მეგობარი, ვუზიარებდით ერთმანეთს გამოცდილებას, ვსაუბრობდით სამომავლო გეგმებზე,

- პირველი წიგნი ვის მიუძღვნით?
- პირველი წიგნი - „ჩემი გზა-კვალი“ მიუძღვნე 95 წლის დედას, 6 შვილის, 24 შვილიშვილის, 46 შვილთაშვილისა და 2 შვილთაშვილის შვილის გამაზრდელ ქალბატონ ზულფიე მიქელაძე-ღარჩიძეს.
- მრავალი დაიწერა აჭარის მთიანეთში დაგანებულ სახალხო დღესასწაულ „შუამთობაზე“, თქვენც მიუძღვნით წიგნი - „შუამთობა აჭარაში“...
- ბავშვობა გავატარე მთა თეთრობზე, ბებიასთან ერთად. ყოველთვის მიხაროდა „შუამთობის“ მოსვლა, ვხედავდი, როგორი სიხარულით და ხალისით ხვდებოდა მთიანი აჭარის მოსახლეობა ამ ძირძველ ტრადიციას. ამან გადამაწყვეტინა, დამეწერა წიგნი „შუამთობა აჭარაში“. განსაკუთრებული ყურადღება წიგნმა თბილისში მიიპყრო. ყველა მკითხველის სურვილი ჭრჭრებით ვერ დაკმაყოფილდა ტირაჟის სიმცირის გამო, მაგრამ ახლო მომავალში ვაპირებ განმეორებით გამოცემას, რასაკვირველია, სპონსორის მოძიების შემდეგ, ჭრჭრებით საკუთარი ხარჯებით ვაგერებე ყველაფერს.
- ავტობიოგრაფიულია წიგნი „ჩემი გზა-კვალი“. 7 შვილი და 10 შვილიშვილი თქვენს გზა-კვალს როგორ აგრძელებენ?
- შვილები საჭარო სამსახურებში სპეციალობის მიხედვით არიან დასაქმებულნი, შვილიშვილებიდან ერთი იუსტიციის სახლში მუშაობს, მეორე - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მე-5 კურსის სტუდენტია, დანარჩენები საჭარო სკოლის მოსწავლეები არიან, შვილთაშვილი 1 წლია საა.

- ახლა რა წიგნზე მუშაობთ?
- ამჟამად ერთდროულად ორ წიგნზე ვმუშაობ, დანარჩენი საიდუმლოდ დავტოვოთ.
- სიმართლეა ასახული თქვენს წიგნებში. თქვენი ცხოვრებისეული პოზიციაც ასეთია?
- მთელი ცხოვრება სიმართლით მოვდივარ და მომავალშიც ასე გავაგრძელებ. იმის საჩვენებლად, თუ რამდენად დაფასებულია სიმართლის მთქმელი, ერთ გამონათქვამს მოვიშველიებ - ერთ მრუდზე საქმეს ათასი მხარე და მჭერი ჰყავს, ათას სწორ საქმეს - არცერთი.
- რას გაიხსენებთ წარსული დღეებიდან?
- შემოქმედი პიროვნების ცხოვრება მრავალფეროვანია, ზოგჯერ სიხარულია, ზოგჯერ - იმედგაცრუება. მე განსაკუთრებულად გამოვყოფდი ორ მოვლენას - ჩემი პირველი წიგნის წარდგინებას თბილისში და იმ დღეს, როცა საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი გავხდი.
- სურვილები...
- მინდა, ახლო მომავალში ვიხილო ჩემი სამშობლო გაერთიანებული, ეკონომიკურად გაძლიერებული, ამასთან, გავაგრძელო საქმიანობა სამწერლო ასპარეზზე.

# „ჯაბნიძეები ეფერება ქაშუეთს“

შემოდგომის თბილი მზე ჰორიზონტიდან დაწყურებდა ქაშუეთის, კომაკეთის, ვერხანის, რიკხეთის, აფხაქეთის, სხანარის, ნახიზნევი გორის, შუახევის, სასვენის სანახებს, როცა ჯაბნიძეების საჭარო სკოლის დირექტორი, სოფლის პირველი სახალხო დღესასწაულის ორგანიზატორი ჭემალ ივანაძე საბატო სტუმრებს, ოთხ თაობის თანასოფლელებს ახლად გაკეთებულ სტადიონზე შეუძღვა. თავდაპირველად ისინი ეთნოგრაფიულ კუთხეში მივიდნენ, სადაც ჯაბნიძეების მრავალსაუკუნოვანი წარსული და თანამედროვეობა იყო წარმოდგენილი. სათქმელი და საამაყო მრავალი აქვს სოფელს, რომლის ისტორიას ხუსენი თავდგირიძე, ზევერია, ოსმან, რომან, შალვა, სარდლონი ზოსიძეები, ქაშიმ, დავით, ოთარ, მახმუდ აბუსელიძეები, ქერემ, ნური მუკუტაძეები, შადიმან, გურამ, სულიკო, დიმიტრი უსტიაშვილები, შოთა, გენადი, სიმონ ივანაძეები და, რაც მთავარია, ყველაზე გამორჩეული ხალხური მთქმელი შაქირ (ჯაჭო) ზოსიძე ქმნიდნენ. ამ ისტორიას დღეს ნოდარ, ლევან თავდგირიძეები, მიხეილ, ნიაზ, ნოდარ, რეზო ზოსიძეები, როლანდ, ავთანდილ, ჭემალ, თენგიზ ივანაძეები, ანზორ აბუსერიძე ამდიდრებენ. მამაკაცებს არც ქალები ჩამორჩებიდნენ. პედაგოგი ნადია მიქელაძე-აბუსელიძე, ხალხური მთქმელი სულთან ცინარიძე-ზოსიძე, ფაქტუმ ბერიძე-მუკუტაძე ვალმოხდილი წავიდნენ წუთისოფლიდან. მკურნალის, ბებიაქალის სახელით ცხოვრობს ცილა ფუტყარაძე-თავდგირიძე, თაობების აღმზრდელია ზინა თურმანიძე-აბუსელიძე.

ჯაბნიძეების მთელი ცხოვრება სიმართლით მოვდივარ და მომავალშიც ასე გავაგრძელებ. იმის საჩვენებლად, თუ რამდენად დაფასებულია სიმართლის მთქმელი, ერთ გამონათქვამს მოვიშველიებ - ერთ მრუდზე საქმეს ათასი მხარე და მჭერი ჰყავს, ათას სწორ საქმეს - არცერთი.

ქაშუეთის მთელი ცხოვრება სიმართლით მოვდივარ და მომავალშიც ასე გავაგრძელებ. იმის საჩვენებლად, თუ რამდენად დაფასებულია სიმართლის მთქმელი, ერთ გამონათქვამს მოვიშველიებ - ერთ მრუდზე საქმეს ათასი მხარე და მჭერი ჰყავს, ათას სწორ საქმეს - არცერთი.

# სოფლად მცხოვრები ქალების უფლებების დასაცავად

სოფლად მცხოვრები ქალების საერთაშორისო დღე საზოგადოებას შეახსენებს, თუ რამდენად ღირსეული და დასაფასებელია ქალი თანამედროვე ცხოვრებაში. შუახევის ამ დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა, რომელსაც მუნიციპალიტეტში მცხოვრები მეწარმე ქალები ესწრებოდნენ. მოწვეულმა ტრენერმა ასმათ ბოლქვაძემ ისაუბრა ქალის როლის მნიშვნელობაზე ადგილობრივ თვითმმართველობასა და საზოგად-



თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს მუხრანბერი დეპუტატი ფრიდონ ფუტყარაძე, პუბლიცისტი ოთარ ცინარიძე, საინტერესო იდეით წარსდგა თანასოფლელობა წინაშე მწერალი და აკადემიური დოქტორი ნიაზ ზოსიძე. მან განაცხადა, რომ საინიციატივო ჯგუფი ქმნის საზოგადოება „ჯაბნიძეებს“, რომელიც სოფლის ახალგაზრდობის სწავლა-განათლებასა და ეროვნულ საკითხებზე იმუშავებს. 90 წელს მიტანებული პუბლიცისტი მიხეილ ზოსიძე ნიაზ ზოსიძესთან ერთად წერს სოფლის ისტორიას. ლევანდის თანხმად, ამ სოფელს სტუმრებია, ღამე გაუთევია და ქაშუეთის ეკლესიაში მოულო-

დი თანადგომა გაუწია, რისთვისაც მის დედას ზინა თურმანიძეს „საპატიო ჯაბნიძეების“ წოდება მიენიჭა. პირველ დღესასწაულზე „საპატიო ჯაბნიძეების“ წოდება ასევე მიანიჭეს პროფესორ რეზო ზოსიძეს, მწერალ ნიაზ ზოსიძეს, ხელოვან როლანდ ივანაძეს და პროფესორს, შუახევის მუნიციპალიტეტის ყოფილ გამგებელ ტარიელ ებრაღიძეს. „მოიღონა სოფელმა, მოსახლეობა კმაყოფილია იმ აღმშენებლობით პროცესებით, რაც ჯაბნიძეებში მათი კეთილდღეობისთვის კეთდება. ჩვენგან მხარდაჭერა ამ სოფელს, სახალხო ზემის არც მომავალში მოაკლდება, - გვითხრა ომარ ტაკიძემ.

ობრივ საქმიანობაში, მათ ჩართულობაზე ბიზნესში, სამეწარმეო უნარების განვითარება-გაძლიერებაზე, მიანიშნა პრობლემებზე, ღონისძიების მონაწილეებს გაუზიარა წარმატებული მეწარმე ქალების გამოცდილება. ქალბატონებს სოფლად მცხოვრები ქალების საერთაშორისო დღე შუახევის მერიისა და საკრებულოს პასუხისმგებელმა მუშაკებმა მიულოცეს და სიმბოლური საჩუქრები გადასცეს. მათ დამსწრეთ მუნიციპალიტეტში მოქმედ სოციალურ პროგრამებზე მიაწოდეს ინფორმაცია და ისაუბრეს ქალთა უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და მათი ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობაზე, სოფლად მცხოვრები ქალების წვლილზე სოფლის მეურნეობის განვითარებაში. მოსაზრებები გამოთქვეს თამილა, შუშანა ფუტყარაძეებმა, ციური აბუსელიძემ. სოფლად მცხოვრები ქალების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება შუახევის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოსა და „ქალთა ოთახის“ ორგანიზებით გაიმართა.

გვერდი მოამზადა ოთარ ცინარიძემ



# ია ხასაია: ვისურვებდი, მეტი ქართველი ავტორი ითარბინოს უსხოურ ენაზე

ოთარ ცინაიძე 599 85 21 14

12 წელია, საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი „ზე-კართან“ ტარდება. წლებადღებულ მონაწილეთა შორის იყო თბილისში მცხოვრები პოეტი და მთარგმნელი, ლიტერატურული კონკურსის „ილია თანამედროვე პოეზიაში“ გამარჯვებული ია ხასაია.

- ქალბატონო ია, ვინც თქვენი გამოხატულება ნახა ფესტივალზე, სოფელ ჩაოსა და იქაურ მასპინძელზე, აღტაცება ვერ დაფარა...

- მოგესალმებით. ამ ფესტივალზე წელს პირველად აღმოვჩინე მოწვეულთა შორის. ეს ჩემთვის დიდი პატივი და ბედნიერებაა. აქ მოხვედრას ბევრი პოეტი, პროზაიკოსი და ზოგადად, შემოქმედი ადამიანი ოცნებობს. კარგია, რომ წლიდან წლამდე იცვლება მონაწილეთა სია. არასდროს გამინელდება მადლიერების გრძობა ფესტივალის ორგანიზატორ ვანტანგ ბერიძის, „მატო ჩაოს“ არაჩვეულებრივი მასპინძლების, ბატონი თამაზისა და მისი შესანიშნავი მეუღლე ხათუნას, მთიანი აჭარის მკვიდრი საოცარი ადამიანებისა თუ სტუმართა მიმართ, რომელთა გაცნობის საშუალებაც მომეცა. წელს ფესტივალის საგზიანო ბარათი მრავალფეროვნება იყო და შესაბამისად, პროგრამაც ასე წარმოგვიჩინა. საოცარი სამი დღე გვარჩუნა ფესტივალმა „ზე-კართან“.

- აჭარის მთასა და ზღვისპირეთს კარგად იცნობთ...

- აჭარის მთის სიმაღლეს წელს პირველად ვუწვდინე თვალი, ოღონდ მის მაღლიან მიწაზე მდგარმა, რადგან თავის საბავარო ტექნიკური გაუმართაობის გამო, ვაჩერებულე იყო... ვერც სიტყვა, ვერც ფირზე ასახული ვადრე ვერ გადმოსცემს ამ სილამაზეს... ეს უნდა ნახო... ზღვისპირეთთან ლიტერატურული ურთიერთობა ბათუმური „ლექსების გამოფენით“ დაიწყო. ეს კონკურსია, რომელსაც ზაზა ფირცხალაიშვილი ორგანიზატორობს და რომლის ფინალისტიც ორჯერ ვიყავი. დაუვიწყარი დღეების მასპინძელია ბატონი ზაზა.

- ქვეყნის ამ ულამაზეს კუთხეში მეგობრები გყავთ. ვის გამოარჩევთ?

- მთიანი აჭარიდან თბილისში ბევრი ადამიანის სიბოლო გამოვიყოლე. დიდი სურვილი მაქვს, ვიმეგობრო მათთან, მიხარია, რომ გაიცნა, ბატონო ოთარ, თქვენსაირი ერისკაცების მხრებზე დგას დღეს საქართველო და კიდევ, მაღლობა ყველას, ვინც ამ ფესტივალს კრავს, წლიდან წლამდე ამრავალფეროვნებს და ამდენ სიხარულს ანიჭებს ადამიანებს... ახალი წიგნის ფურცლებს ცნობისწადილით ჩაფრენილი ბავშვი, თბილი მასპინძელი, რიგითი გზის მასწავლებელი თუ ჭარ...



ია ხასაია, ჩემთვის ყველაზე დიდი „ზე-კართან“...

- როდის აიღეთ კალამი პირველად ხელში ლექსის დასაწერად?

- მეოთხე კლასში ვიყავი, როცა კალამს წავებოტინე და გართიმულ სტრიქონებს ლექსი დავარქვი... მერე რა და როგორც განვიტარდა, ჩემი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის დამსახურებაა, „ნორჩ შემოქმედთა წრის“... მერე ლექსები გაზეთებისა თუ ჟურნალების ფურცლებზე, პირველი კრებული და ასე შემდეგ.

- ჩაფხინიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტი იყავით. რას გაიხსენებთ იმ წლებიდან?

- უნივერსიტეტში მისაღებ წერით გამოცდაზე თავისუფალი თემა ავირჩიე „ძაფი ნერვის არ არის ჩემში არა პოეტის“. დღესაც მაქვს შენახული... მახსოვს, მაღალი შეფასების სიხარული და მზექალა შანიძისთან ზეპირი გამოცდის ჩაბარების შემდეგ უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის დაუსრულებელ კიბეზე წაშში ჩამორბენა ხუთი გაშლილი თითით... და ბევრი, ბევრი საინტერესო დღე - შემდეგ.

- ძალიან ცოტა იცის, რომ ია ხასაია ლიტერატურული კონკურსის „ილია თანამედროვე პოეზიაში“ გამარჯვებულია. როგორ მოვიდა ეს აღიარება?

- 2024 წლის 12 ივლისს „ილიას საქველმოქმედო ფონდმა“ გამოაცხადა კონკურსის „ილია თანამედროვე პოეზიაში“. მისი მიზანი

იყო ილია ჭავჭავაძის პერსონის და მოღვაწეობის გააზრება და გადააზრება პოლიტიკონუნქტურის გარეშე, თანამედროვე კონტექსტში, ერთიანი ეროვნული და ევროპული პერსპექტივიდან გამომდინარე. გადავწყვიტე, კონკურსში მონაწილეობა მიმელო და... ვამართლა ჩემმა მოწოდებებმა ამ საპასუხისმგებლო საქმეში, უფრომ სამი გამარჯვებული გამოავლინა: ბატონი ჭემალ ინჯია, გაია ხოფერია და მე.

- თარგმნი უცხო ენიდან მშობლიურზე ნაწარმოები, საკმაოდ რთული საქმეა. როდის დაიწყეთ თარგმნებზე მუშაობა?

- პოეტურ თარგმანებზე მუშაობა უნივერსიტეტში სწავლის პერიოდიდანვე დაიწყო. ჩემი პირველი თარგმანი შესულია 1989 წელს გამოცემულ ტარას შევჩენკოს ლექსების კრებულში. ჩემს მთარგმნელობით საქმიანობაში დიდი წვლილი ცნობილ მთარგმნელსა და გამომცემელს, სულმნათ ბატონ ალექსანდრე ელერდაშვილს მიუძღვის, რომელიც წლების განმავლობაში „ლიტერატურის მთარგმნელთა ასოციაციის“ ხელმძღვანელი იყო.

- რამდენად გიფასებენ უცხოელი ავტორები ამ გარჯას?

- თარგმანს აქვს უფრო დიდი ფუნქცია, ვიდრე ახმინება მეორე ენაზე. ის ლიტერატურული პროცესების, მისი პროგრესის განმაპირობებელია, მით უფრო, რაც გათავისუფლდა თარგმანის სივრცე საბჭოური ცენზურისა და მერმეტულობისგან. ახლა ის მეტად ერწყმის მსოფლიოს ცოცხალ პროცესებს.

ვისურვებდი, მეტი ქართველი ავტორი ითარგმნოს უცხო ენებზე.

- მეგრულ ენაზე ლექსის დაწერის მცდელობა თუ გქონია?

- მაქვს მეგრულ ენაზე დაწერილი ლექსები... მათ შორის რამდენიმე კობა ჭუმბურიძემ თარგმნა.

- მრავალმხრივ შემოქმედს ცეკვა-სიმღერასთან რა დამოკიდებულება გაქვთ?

- მუსიკა საერთაშორისო ენაა... ქართული ცეკვითა და სიმღერით კი ჩვენს სათქმელს ვამბობთ. ჩემთვის ორივე ღირებულა, თუ მათში პოეზიას ვხედავ.

- ოცნებას კაცი არ მოუკლავს. ოცნებობთ „ზე-კართან“ ყაბალახის მორგებაზე?

- „ზე-კართანზე“ ვოცნებობდი და ამიხდა, ყაბალახამდე შორის ვარ...

- ია ხასაია და სიყვარული...

- ჩემივე ლექსით ვიპასუხებთ:

ვკითხე სიყვარულს: - რამდენი წლის ხარ,

დასაბამით რომ ატრიალებ ჩვენთვის მზიანეთს?

მითხრა: - იმდენს, რამდენი ხნითაც

შენი პასუხი დაავიანებს -

სულ არაფრისთვის ერთმანეთი

აბა, რამდენჯერ გვყვარებითა

ადამიანებს?!

- გაუმხელელი სიყვარული ზოგიერთებს ატყვევებს ხოლმე...

- „არარაი არს დაფარული, რომელი არა გამოსცხადნეს“ და... არ მიმიცია ამ ტყვეობისთვის თავი.

- განრისხებულზე ლექსი თუ დაგიწერია?

- ლექსი შეწუხებამ უნდა დაგაწერინოს, ან სიხარულით, ან ტკივილით შეწუხებამ... განრისხებულზე შეიძლება სიტყვა სიტყვასთან გაგრეთობო, მაგრამ იქ პოეზია არ იქნება.

- დედა, მასწავლებელი, მეგობარი... ამ ათგან ლექსების პირველი გულწრფელი შემფასებელი ვინ იყო?

- მასწავლებელი.

- პაქრობა ჩხუბსა და დაპირისპირებაში გადავარდით?

- არა, რა თქმა უნდა.

- ამბობენ, ბიჭებსაც არ ინდობდაო. პირველად ვინ იყო თქვენი მკლავის ძალის „მსხვერპლი“?

- ვინ ამბობს? ჩემი უშირეტი ფანტაზიაც კი უძლურია, ასეთი გმირის მანტია მოვარგო საკუთარ თავს.

- დროის მფლანგველობას თუ ეგუებით? - გაგედიმებთ და... ყველაზე კარგი დრო დაკარგული დროა.

- დაბოლოს, მრავალი შემოქმედი არ წყალობს ჟურნალისტებს და ზურგს აქცევს ხოლმე. რამდენად მართებულად მიგაჩნიათ ეს?

- სამწუხაროდ, დღეს ბევრი ჟურნალისტი ჟურნალისტიკასთან ზურგშეკცევით დგას. დარწმუნებული ვარ, თქვენთვის არცერთ შემოქმედს უთქვამს უარი ინტერვიუზე. მაღლობა.

## ანონსი

# ბათუმის დრამატული თეატრის კრემიერისთვის ემზადება

მარია ხოთაბაძე 27 48 93

22, 23 და 25 ოქტომბერს მყოფრებული ბათუმის ილია ჭავჭავაძის დრამატულ თეატრში მორიგ პრემიერას იხილავს

სამაგიდო სამუშაოების შემდეგ, სცენაზე აქტიური სარეპერტიციო მუშაობა მიმდინარეობს სპექტაკლზე „თამაში ჭვავის ყანაში“ - სამი ფაფერაკიანი დღე ჯერომ სელინჯერის ნაწარმოების მიხედვით. დამდგმელი რეჟისორია ალექსანდრე ქანთარია, რეჟისორი - სალომე ჯავახიძე, მხატვარი - პაატა მძინარაშვილი, კომპოზიტორი - ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკი, რეჟისორის თანაშემწე - თეონა ლორთქიფანიძე.

სპექტაკლში მონაწილეობენ მსახიობები: ზაალ გოგუაძე, ქეთევან ეგუტიძე, ნინო კვიციანიშვილი, ასევე, ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები და სტუდენტები: ლევან თედორაძე, მარიამ გუჩაბიძე, დავით მამრიკიშვილი, ლუკა ჭეიშვილი, სალომე ბედინიშვილი და კახაბერ ბრეგაძე.



# სპორტული ოზიქტაზი აშენდება

ცოტენი ცაბაძე 27 48 94

ბოლო წლებში ხულოელი სპორტსმენების მონაგარი რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო სარბიელზე თვალსაჩინოა, განსაკუთრებულ წარმატებებს მოჰყვანია ალწვევნი

მოქმედებდა საფეხბურთო კლუბი „ხიხანი“, მაგრამ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სტადიონი არ მქონდათ, რამაც პრობლემები შექმნა. ხულოს მუნიციპალიტეტის ყოფილი მერის ვახტანგ ბერიძის, მაჟორიტარი პარლამენტარის ანზორ ბოლქვაძის აქტიურობითა და ქვეყნის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით, დაბა ხულოში FIFA-ს სტანდარტების შესაბამისი, 450 მაყურებელზე გათვლილი საფეხბურთო სტადიონი და სპორტული სკოლის შენობა აიგება.

- ნორმალური სპორტული ობიექტები კიდევ უფრო მეტ ახალგაზრდას მოიზიდავს, რაც მომავალი წარმატებების საწინდარი გახდება. ღორჯომში უკვე გვაქვს სპორტის სახლი, - გვითხრა ხულოს მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა ჯამბულატ მელაძემ.





# „ყველანი „ტრუმენის შოუს“ მონაწილენი ვართ“

მარია ხოთაბაძე 27 48 93

ჩვენი სტუმარია ბათუმელი ახალგაზრდა პოეტი ნინო კახიძე. მან შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა. მისი ლექსები დაბეჭდილია ლიტერატურულ ჟურნალებში „განთიადი“ და „ჭოროხი“. დღეს ჩვენი მკითხველი ნინოს სხვა კუთხითაც გაიცნობს.

- ვინ ვარ და ვინ მინდოდა გყოფილიყავი?..

- საინტერესო კითხვაა, ბევრჯერ დამისვამს საკუთარი თავისთვისაც ეს კითხვა და, სიმართლე გითხრა, ვერ კიდევ არ მაქვს პასუხი. ვნახოთ, ბოლოსკენ, იქნებ, კარგი ადამიანობისკენ უფრო გადავიხარო... აი, ვინ მინდოდა გყოფილიყავი, ზუსტად ვიცი. მთელი ბავშვობა ვოცნებობდი, გყოფილიყავი ბორტგამცილებელი და მედლა.

- ბავშვობა არის...

- ფეხაკრეფით სიარული.

- რაც ყველაზე მნიშვნელოვანია...

- გადაეჩვიო ფეხაკრეფით სიარულს და ისწავლო ხმაური, კარის ზურგს უკან გაჯახუნება.

- ყველაფერი დაიწყო აღქმით, რომ...

- ყველაფერს ძალიან სწორად ვაკეთებ.

- ცხოვრება ჰგავს...

- ფილმს.

- ბევრჯერ მიფიქრია...

- ჯადოსნურ ჯოხზე.

- ვანობ...

- ჯადოსნური ჯოხი რომ არ მაქვს. ვერ ვკრები და არც სხვისი გაქრობა შემიძლია.

- დამსხვრეული სტერეოტიპები...

- „ნამდვილი მამაკაცი არ ტირის“, „ისლამი ტერორის რელოგია“...

- სამყაროს აღქმის ჩემული ემოცია...

- სამყაროს პატარა ხვრელიდან ვიღაც გვაკვირდება. თითქოს ყველანი „ტრუმენის შოუს“ მონაწილენი ვართ.

- ნივთი, რომელსაც სულ ვატარებ...

- ჯვარსაც კი არ ვატარებ.

- სიყვარული რომ არ გყოფილიყო...



- „ფუძის ანგელოზი და ჭერის ანგელოზი“ დაისვენებდა.

- ყველაზე დიდი იმედგაცრუება...

- პირველი მასწავლებელი (სამწუხარო რეალობა).

- მუსიკა - ჩემს პოეზიაში.

- ჩემთვის ორი სხვადასხვა ხელოვნებაა და ერთმანეთთან ვერ ვაკავშირებ. ვწერ სრულ სიჩუმეში, ასევე, სრულ სიჩუმეში ვკითხულობ და როცა ვუსმენ, მხოლოდ ვუსმენ...

- წიგნი, რომელშიც საცხოვრებლად გადავიდოდი...

- „დიდი სახლის პატარა დიასახლისი“.

- არასდროს...

- თქვა არასდროს.

- ერთ დღესაც გათენდება და...

- აღარ ვიქნები.

- სეგდას მგერის...

- მანქანიდან ჩამოსმული ძაღლები.

- ჩემზე ამბობენ...

- დამყლილი ბავშვი იყავი, როგორ შეცვლილხარ.

- რა ფერი აქვს სიკეთეს?

- თეთრი.

- დავიწყებ რომ შემიძლოს...

- არაფერს დავივიწყებდი.

- ფობია...

- ადამიანების პანიკური შიში მაქვს.

- მენატრება...

- თინო.

- ბოლოს წავიკითხე...

- ფიოდორ დოსტოევსკის „დანაშაული და სასჯელი“.

- გიმოგზაურებდი...

- ვგვამავ მონაკოში მოგზაურობას.

- ლექსების წერის პროცესი ჰგავს...

- თრობას.

- მავსებს...

- შვილი - საბა.

- ამოჩემებული სიტყვა...

- არა უშავს.

- ცრემლებს ვერ ვიკავებ, როცა...

- ვუყურებ ვიდვოს, არ აქვს მნიშვნელობა ვისას, სადაც ქალი იგებს თავისი ფეხმძიმობის ამბავს.

- საკუთარ თავში შეგცვლილი...

- მიამიტობას.

- ლექსი, რომელიც ყველაზე მეტად მგავს...

- ტარეკლ მანტუიას - „სად არ გძინებია, სიყვარულო“.

- შთაგონების წყარო...

- ტკივილი.

- საყვარელი მწერალი...

- მარკ ტვენი.

- დღე, რომელმაც ჩემი ცხოვრება შეცვალა...

- 10 აგვისტო, როდესაც დედა გავხდი.

- მწამს...

- სიყვარულის.

- ადამიანი ადამიანისთვის...

- შეიძლება იყოს ღმერთი.

- ყველაზე დიდი ჯილდო...

- სიცოცხლე.

- ყოველთვის ერთნაირად აღმაფრთოვანებს...

- ახლა ისე ვარ, ვერანაირი ცირკი ვეღარ აღმაფრთოვანებს.

- თავისუფლება არის...

- არ გაინტერესებდეს, რას ფიქრობს ხალხი შენზე.

- გზავნილი სამყაროს...

- ამომასუნთქე.

- ჩემზე არავინ იცის, რომ...

- ორი კოფი მაქვს (იცინის) - ახლა იცის.

- მჭერა...

- ყველაფრის, რასაც მეუბნებიან.

- მომავლის კადრი...

- ბროწეულის ხეები - ეზოში.

- ახლა ყველაზე მეტად მინდა...

- იმ ეზოში, სადაც ვერ ბროწეულის ხე არ დგას.

- მას ვეტყვი, რომ...

- იცის, რომ მიყვარს.

- ექსპრომტად...

- ექსპრომტი მხოლოდ მუსიკაში ვარგა.

## ხელოვნება

# ბათუმის თოჯინების თეატრი - ანკარის საერთაშორისო ფესტივალზე

მარია ხოთაბაძე 27 48 93

ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მსახიობთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი თურქეთში, ანკარის თოჯინების საერთაშორისო ფესტივალზე გაემგზავრა, რომელიც 13-19 ოქტომბერს მე-10 საიუბილეო სეზონს მართავს. ფესტივალზე ბათუმის თოჯინების თეატრის რეპერტუარიდან წარდგენილი იყო ორი სპექტაკლი - „ელისი საოცრებათა ქვეყანაში“ - ირაკლი კიკვაძის რეჟისურით და „წერილი ჯერალდინას“ - ელენე მაცხოვრავლის რეჟისურით. ჩვენებები ანკარაში 16 და 18 ოქტომბერს გაიმართა, ბათუმში კი წარმოდგენებს 21 ოქტომბრიდან განაახლებს.

ჩვენი თეატრი ანკარის, თოჯინების საერთაშორისო ფესტივალში პირველად მონაწილეობდა. წარვსდგით ორი სპექტაკლი: „ელისი საოცრებათა ქვეყანაში“ და „წერილი ჯერალდინას“. მიუხედავად იმისა, რომ ფესტივალის ფორმატი არასაკონკურსო იყო და სპექტაკლებს უფრო არ აფასებდა, ჰყავდათ მოწვეული სტუმრები, რომლებიც სპექტაკლებს აკვირდებოდნენ. ძალიან კარგი შესაძლებლობა იყო გავვეცვალა კონტაქტები, გავგეცნო სხვადასხვა თეატრის დასები და ჩვენი თეატრიც საერთაშორისო ასპარეზზე წარმო-

გვეჩინა. აღსანიშნავია, რომ ძალიან თბილი და მეგობრული ურთიერთობა გვაქვს ფესტივალის ორგანიზატორებთან, წარმატებებს ვუსურვებ მათ და, რა თქმა უნდა, ჩვენს თეატრს. ვფიქრობ, ღირსეულად წარვსდგით ამ ფესტივალზე, - გვითხრა ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მსახიობთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ირაკლი კიკვაძემ.

როგორც ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მსახიობთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი მარცხ ტულუში გვატყობინებს, გასტროლები დიდი წარმატებით მიმდინარეობს, რასაც ადასტურებს ანკარის თოჯინების საერთაშორისო ფესტივალის დირექტორის მარინა იუჯეს კომენტარი, რომ სპექტაკლი „წერილი ჯერალდინას“ მსახიობებისთვის მასტერკლასია.

შეგახსენებთ, რომ სპექტაკლ „წერილი ჯერალდინას“ მიღებული აქვს გრან პრი აღმართის თოჯინების პირველ საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე.

გასტროლების შესახებ დაწვრილებით დასის ბათუმში ჩამოსვლის შემდგომ ვიამბობთ.

# „სტუდარტი“ - ხელოვნების პოპულარიზაციის პროექტი

მანა აბულაძე 577 20 35 90

„სტუდარტი“ - ასე ერქვა ღონისძიებას, რომელიც აჭარის ხელოვნების მუზეუმში გაიმართა და ხელოვნების სფეროში ჩართული სტუდენტების საქმიანობის პოპულარიზაციას ემსახურებოდა.

მასზე ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის, მოდის დიზაინის, კინორეჟისურის სპეციალობის სტუდენტებმა თავიანთი ნაშრომები წარმოადგინეს. გაიმართა სტუდენტების მიერ გადაღებული ორი ფილმის ჩვენება, მუსიკის ფაკულტეტის სტუდენტებმა შეასრულეს მუსიკალური ნომრები, მოდის დიზაინის სპეციალობის სტუდენტებმა წარმოადგინეს სადიპლომო ნამუშევრები. საღამოს განსაკუთრებულ ელფერს სძენდა ვილინიზმზე შესრულებული მუსიკალური ნომრები.

დღევანდელი სამყარო დგას ახალგაზრდებზე, გაბედულ ადამიანებზე. ნიჭიერ და ისეთ უნიკალურ თაობაზე, რომელიც არ უშინდება ყოველდღიურობას, იცავს საკუთარ ინტერესებს, ცდილობს საზოგადოებაში ღირსეულად დაიმკვიდროს თავი. ჩვენი მისიაა, ხელი შევუწყოთ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ხელოვნების სფეროში ჩართულ ახალგაზრდებს, სტუდენტებს, გაუწიონ თავიანთ საქმიანობას პოპულარიზაცია იქ, სადაც ჭეშმარიტად უნდა იყოს ხელოვნების სხვადასხვა მიმართულება გამოფენილ-ექსპონირებული. ეს არის მუზეუმში მეორე ამ სახის ღონისძიება. გასულ წელს „სტუდარტი“ სტუდენტთა საერთაშორისო დღეს გაგვმართეთ, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი მთავარი მისიაა და ამოცანაა, მაქსიმალურად გავზარდოთ სტუდენტების ჩართულობა სამუზეუმი ცხოვრებაში, წელს არ დაველოდეთ სტუდენტთა დღეს. დარწმუნებული ვარ, ყველა ადამიანი, რომელიც დღეს ამ ღონისძიებას დაესწრო, განსაკუთრებული ემოციებით წავიდა ჩვენგან, რადგან აქ მოეწყო ახალგაზრდა თაობის განცდებისა და ემოციების პრეზენტაცია, - გვითხრა ბათუმის ხელოვნების მუზეუმის მმართველმა თენგი დოლიძემ.

ღონისძიება სსიპ „აჭარის მუზეუმი/ ხელოვნების მუზეუმი“ და ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის ერთობლივი ძალისხმევით მოეწყო.







# ბერიძეების შეხვედრა დედაბავშვის კანდიდატთან

ცოტნე ცაგარე 27 48 93

მომღერალი არჩილ ბერიძე საქართველოს პარლამენტის დელეგატობის კანდიდატია ქალაქ ბათუმში. იგი მმართველი პარტიის პროპორციულ სიაში ოცდამეორეა. საგვარეულოს ეთნარქის, აკადემიკოს ვაჟა ბერიძის, აჭარელ ბერიძეთა თავაჯდის, აკადემიკოს აკაკი ბერიძისა და ბიზნესმენ ამირან ბერიძის ინიციატივით, ბერიძეების გვარის წარმომადგენლებმა არჩილ ბერიძესთან შეხვედრა გამართეს. ამასთან დაკავშირებით ეს ყველაზე მრავალრიცხოვანი გვარი მოწვეულ თანამაზრებთან ერთად შეიკრიბა და წინასაარჩევნო საკმაოდ დაძაბულ ვითარებაში ხელისუფლების მხარდაჭერა გამოხატა

ტრადიციულად გადაიტყა ბერიძეების გვარის შეკრება ქვეყნის ბედზე, მის აწმყოსა და მომავალზე სამსჯელოდ. ამჟამად საქართველოში 30 ათასზე მეტი ბერიძე ცხოვრობს, მათგან აჭარაში თითქმის ორი მესამედი - 20 ათასამდე. მრავალრიცხოვნობასთან ერთად, ბერიძეების გვარი ერთ-ერთი უძველესია და ისტორიულად მხარს უჭერს ქვეყნის აღმავლობას. ჩვენი საგვარეულო, ქვეყნის მოსახლეობა შეშფოთებული და აღშფოთებულია უცხო ქვეყნების მიერ მართული და დაფინანსებული ოპოზიციის გააქტიურებით, ქვეყნის არეულობის, ძალადობის, რევოლუციის გზით ხელისუფლების შეცვლის თავხედური მუქარით. კრების მონაწილეები მოგუწოდებთ მოსახლეობას, ახლანდელი ხელისუფლების მხარდაჭერისაკენ, რათა ქვეყანას ავაცილოთ საფრთხე. ჩვენ ვაფასებთ „ქართული ოცნების“ და მისი დამარცხების, სიბრძნით, ქველმოქმედებით, პატრიოტიზმით გამორჩეული კაცის - ბატონი ბიძინა ივანიშვილის დამსახურებას. მისი ხელმძღვანელობით საქართველოს მოსახლეობამ 2012 წლის არჩევნებში შეძლო დიქტატურის, ტოტალიტარიზმის, უსამართლობის,



დამინათა შეურაცხმყოფელი რეჟიმის დამარცხება. ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით მომდევნო 12 წელი ქვეყანამ ეკონომიკის აღმავლობით განვლო, დამკვიდრდა მშვიდობა, სამართლიანობა. რამდენიმე დღის წინ გაცხადდა ბიძინა ივანიშვილის კიდევ ერთი ქველმოქმედების შესახებ - ქვეყანას დაუბრუნდა უძვირფასესი განძი - იონანე ზოსიმეს ხელნაწერი სახარებიდან ლაზარეს (ქარ-

თული ენის) აღდგინების შესახებ. ხელნაწერი ამტკიცებს, რომ ჩვენი ქვეყანა, ფაქტობრივად, მსოფლიო ცივილიზაციის აკვანია. მადლობა ბატონ ბიძინას უძვირფასესი საჩუქრისათვის, - გვითხრა აკაკი ბერიძემ.

ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებიდან დღემდე ბერიძეთა გვარის წარმომადგენლები თავიანთ სიტყვას ამბობენ სახელმწიფო მმართველობაში, მეცნიერებასა და ხელოვნებაში, ღვთისმსახურებაში. რაოდენ მნიშვნელოვანია, რომ აჭარაში იშვიათია თემი, რომლის მკვიდრი ამ გვარის წარმომადგენელი არ იყოს, მოსალოდნელია, რომ გვარის წარმომადგენლები ჰყავდეს საქართველოს პარლამენტსა და აჭარის უმაღლეს საბჭოში არჩილ და ვახტანგ ბერიძეების სახით.

შეკრებაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდნენ ვაჟა და აკაკი ბერიძეები, აკადემიკოსი ვანო პაპუნიძე, თემურ ბერიძე.

არჩილ ბერიძემ გვარის წარმომადგენლებს სამოქმედო პროგრამა გააცნო და მადლობა გადაუხადა ორგანიზატორებს მხარდაჭერისათვის.

საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ ბერიძეების გვარის შვილებს ქვეყნის აღმშენებლობაში სათანადო წვლილი მიუძღვით და ეროვნულ პოზიციებზე დგანან. არჩილ ბერიძის მხარდაჭერის მნიშვნელობა გვარის თითოეულმა წევრმა უნდა გაითავისოს, - განაცხადა ვაჟა ბერიძემ.

## მადლობა, მადლობა – ყველას!

### ბატონო სოლომონ!

მოგესალმებით ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს მთელ კოლექტივს თქვენს ხელმძღვანელობით და გისურვებთ ახალ, თანამედროვე სტანდარტებით კეთილმოწყობილ საავადმყოფოში, ახალი ენერჯით, მაღალკვალიფიციურ სამსახურს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სადარაჯოზე.

თქვენს მრავალრიცხოვან პაციენტთა შორის მეც მოგვხვდა 85 წლის ასაკში. სიბერის თანმდევი მოვლენა სხვადასხვა დაავადება, ჯანდაცვის სისტემის ამოცანა კი არის ებრძოლოს ავადმყოფობას, დაამარცხოვოს იგი და გადაარჩინოს ადამიანები. მედიცინა, უმრავლეს შემთხვევაში, ამას ახერხებს.

ავადმყოფობის გამო მივმართე თქვენს საავადმყოფოს, სადაც დიდი ყურადღებით

ლიზი, ყოველდღიურად - 45 პაციენტს. განყოფილების სამედიცინო პერსონალი გამოირჩევა დიდი გულისხმიერებით, პასუხისმგებლობის გრძნობით და პროფესიონალიზმით, კეთილსინდისიერად და გულმოდგინედ ემსახურებიან ყველა პაციენტს. ისინი, თავის მხრივ, უზომოდ კმაყოფილი და მადლობრივნი არიან მედპერსონალის ყურადღებითა და მომსახურებით.

პაციენტთა სახელით, მინდა, გულთბილი მადლობა ვუთხრა თითოეულ მათგანს, ვუსურვო დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, კეთილდღეობას და მრავალი კმაყოფილი პაციენტი, თქვენ კი, ბატონო სოლომონ, რომელიც ბრძანდებით რესპუბლიკური საავადმყოფოს წარმატებების სულისჩამდგემელი, გთხოვთ, გამოიჩინოთ კიდევ უფრო მეტი ყურადღება და იზრუნოთ განყოფილებაში სამე-



**არჩევნებში მონაწილე სუბიექტების საყურადღებოდ!**

ფასიანი წინასაარჩევნო აგიტაციისა და წინასაარჩევნო რეკლამისთვის გაზეთი «აჭარა» ყოველ ნომერში გამოყოფს სამ შავ-თეთრ გვერდს, რომელთა საერთო ფართი შეადგენს 2700 კვ სანტიმეტრს, აგრეთვე ბოლო - ფერად გვერდს, რომლის ფართიც 900 კვ სანტიმეტრია.

ფასი: შავ-თეთრ გვერდზე (1 კვ სანტიმეტრი) - 30 თეთრი; ფერად გვერდზე (1 კვ სანტიმეტრი) - 50 თეთრი.



მიმდღეს. მრავალმხრივი სამედიცინო შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სათანადოდ ვეღარ ფუნქციონირებდა ჩემი ორივე თირკმელი და მესაჭიროებოდა დიალიზი.

შემდგომი მუდმივი მკურნალობისათვის აღრიცხვაზე დამაყენეს თირკმლის დიალიზის განყოფილებაში, რომელსაც ხელმძღვანელობს ქ-ნი ლამარა ვაგრაძე. მისი გუნდის წევრები არიან ექიმები: ნინო ასათიანი, ლილი ბარამია, ნატო ლაბაძე; ექთნები: ციური დავითაძე, სვეტლანა ვაგრაძე, ხათუნა მახარაძე, ნატო ლომთათიძე, მირანდა თურმანიძე და უმცროსი მედპერსონალი: ქეთინო ოსანაძე, ირა ლემსაძე.

ამჟამად განყოფილებაში 90 პაციენტია აღრიცხვაზე, რომლებსაც უტარდებათ დია-

ლიზი და ხმარების აღმოჩენისთვის საუკეთესო პირობების შესაქმნელად, ვინაიდან თითოეულ პაციენტს სიცოცხლის ბოლომდე ესაჭიროება მკურნალობა. მე, მაგალითად, სიკვდილამდე უნდა ვიკეთო საჭირო პროცედურები. ამ განყოფილებამ მე სიცოცხლე შემინარჩუნა.

კიდევ ერთხელ, ჩემი და ყველა პაციენტის სახელით, უღრმესი მადლობა - რესპუბლიკური საავადმყოფოს დიალიზის განყოფილებას და მთელ სამედიცინო კოლექტივს. დმერთმა ხელი მოვიმართო პროფესიულ საქმიანობაში.

ბატონისცემით, შოთა ბერიძე



<p><b>მთავარი რედაქტორი</b></p> <p><b>მარიანა მითაიშვილი</b></p>	<p><b>გამომცემი რედაქტორი</b></p> <p><b>ირმა შერვაშიძე</b></p> <p><b>ლიტერატურული რედაქტორი</b></p> <p><b>ეთერ სომარიკი</b></p>	<p>რედაქცია პასუხს არ ავებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.</p> <p>ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.</p> <p>რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.</p>	<p><b>გამომცემი - შპს</b></p> <p>«ბაზეიო აჭარა და ალსარია»</p> <p><b>კოორდინაციული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»</b></p> <p>მის: ქ. თბილისი, ქ. ბაღდაძის ქ. №3</p>	<p><b>მისამართი: 6000, ბათუმი, ბრიგადადროს ქ. №2</b></p> <p><b>ტელ: 27-13-31</b></p> <p><b>აიწყო და დაბეჭდვა</b></p> <p><b>გაზეთი «აჭარის» კომპ. ცენტრი</b></p> <p>დასაბეჭდავ ხელმოწერა 17/10/24, 18:30 სთ.</p>	<p><b>დირექტორი</b></p> <p><b>გამუკა პერიკე</b></p>
--	---	---	--	---	---

შენიშვნა: 800 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი ხეხილითა და ციტრუსით. დაბეჭდვით მოგიწერება: 574 01 25 62. იკითხეთ ასლანი.



# სპორტის სფეროს გამორჩეული მოღვაწე იუზილარია ჯემალ აროზელიძე - 80

მანანა კიბიჭანიძე 598 24 94 97

სპორტის სფეროს გამორჩეულ მოღვაწეს, ყოფილ სპორტსმენს, ტელეკომპანიის «ტე12-აჭარა» სპორტულ-ტურისტული გადაცემა «სტარტის» წამყვან ჯემალ აროზელიძეს უფასო დაბადებებიდან 80 წელი შეუსრულდა.

ბატონ ჯემალს დიდი ამაგი მიუძღვის ქობულეთის რაიონის, მთლიანად ჩვენი რეგიონის სპორტის განვითარების საქმეში.

მან სპორტული კარიერა თავისუფალი ჭიდაობით დაიწყო სამხედრო საავადმყოფო სამსახურის გავლის პარალელურად. ამიერკავკასიასა და უზბეკეთში მაღალ სპორტულ შედეგებს მიაღწია.

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინსტიტუტის დამთავრებისთანავე მუშაობა რაიონული სპორტსაზოგადოება «კოლმეურნეს» თავისუფალი ჭიდაობის მწვრთნელად დაიწყო, საიდანაც «დოსაფის» ადგილობრივი საზოგადოების თავმჯდომარედ გადაიყვანეს. აქ მუშაობის დროს ავტოსკოლასთან ერთად, სპორტულ-ტექნიკურ კლუბს (ავტოსპორტის, მოტოსპორტის, რადიოსპორტის, ტყვიის სროლის სახეობების) ხელმძღვანელობდა, რომელიც საკავშირო სარბიელზე მნიშვნელოვანი მიღწევებით გამოირჩეოდა.

ნაყოფიერი მუშაობისთვის ჯემალ აროზელიძე ქობულეთის რაიონის სპორტკომის

ტეტის თავმჯდომარედ გადაიყვანეს, სადაც 14 წლის განმავლობაში იღვწოდა. მისი აქტიურობის პერიოდში აღიზარდნენ ადგილობრივი სახელობის სპორტსმენები, ფეხბურთელები - რევაზ ჩელებაძე, ასლან ბალაძე, ნოდარ ხიზანიშვილი, ავთანდილ გორგილაძე, ველოსიპედისტები - ჯონი ცივაძე, სტელა პრიახინა, სხვები.

ბატონ ჯემალს რაიონში ძიუდოს განვითარებასა და პოპულარიზაციაში გამორჩეული ამაგი მიუძღვის. მისი ორგანიზატორული ნიჭისა და სპორტული შემართების წყალობით, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა რაიონის სპორტულ ცხოვრებაში, ოლიმპიური იდეების განვითარებასა და განხორციელებაში, შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნაში. მისი უშუალო ძალისხმევით, ექსპლუატაციაში შევიდა საფეხბურთო თუ სხვა სახის მოედნები და სპორტდარბაზები. სპორტის სხვადასხვა სახეობაში შეიქმნა სპორტული ჯგუფები, ჩამოყალიბდა ახალი გუნდები. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები და სპორტსაზოგადოებები აქტიურად იყვნენ ჩართულნი რაიონულ, საოლქო თუ რესპუბლიკურ შეჯიბრებებში, ეფექტურად საქმიანობდა სპორტის მეთოდისტა ინსტიტუტი. ბატონმა ჯემალმა დიდი წვლილი შეიტანა ასევე ქობულეთის ცენტრალური სტადიონის მშენებლობაში, ჩაქვის ძალოსნობის ბაზის ფორმირებაში...



ჯემალ აროზელიძემ აჭარაში პირველმა დააფუძნა სპორტული ტურიზმის კლუბი, რამაც მნიშვნელოვანად შეუწყო ხელი რეგიონში სპორტული ტურიზმის განვითარებას. ბოლო პერიოდში, პენსიაზე გასვლამდე, აჭარის სპორტული ტურიზმის ფედერაციის პრეზიდენტი იყო. დღესაც ჩვეული შემართებით ეწევა საზოგადოებრივ საქმიანობას, არის ვეტერან სპორტსმენთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, აჭარის ჭიდაობის ფედერაციის კოლეგიის წევრი. სპორტის სფეროში ღირსეული მოღვაწეობისთვის მიღებული აქვს სამთავრობო ჯილდოები, მინიჭებული აქვს საპატიო ქობულეთელის, საქართვე-

ლოს სპორტის დამსახურებული მოღვაწის, ეროვნული კატეგორიის მსაჯისა და ტურიზმის საპატიო მუშაკის წოდებები.

ვულოცავთ ბატონ ჯემალს საიუბილეო თარიღს და ჭანის სიმრთელეს, დღეგრძელობას ვუსურვებთ ამ შესანიშნავ პიროვნებას.

**აჭარის სპორტული საზოგადოება,  
სპორტული ფაქობაციები,  
სპორტული შურანდისტები,  
მეტირანი სპორტსმენები**

# ჩაქვის ძალოსნობის კომპლექსის ერთ-ერთ დარბაზს ირაკლი თურმანიძის სახელი მიენიჭა

მანანა კიბიჭანიძე 598 24 94 97

წელს გახსნილია ჩაქვის ძალოსნობის კომპლექსში პირველი მნიშვნელოვანი დონისძიებას უმსახურებელი - საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის, ჩემპიონატზე გაცხადდა, რომ ჩაქვის კომპლექსის ერთ-ერთ დარბაზს ირაკლი თურმანიძის სახელი მიენიჭა.

ჩაქველი ირაკლი თურმანიძე რიო დე ჟანეიროს ოლიმპიადის ბრინჯაოს მედლის პრიზიორია, ასევე - ევროპის ჩემპიონი და არაერთჯერის პრიზიორი, მნიშვნელოვანი ტურნირების გამარჯვებული. სერიოზული ტრავმის გამო აქტიურ სპორტს ჩამოშორდა. ის აჭარის ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი გახლავთ.

რაც შეეხება საქართველოს ჩემპიონატს, გუნდურ ჩათვლაში საუკეთესო შედეგი აჭარის ნაკრებმა დააფიქსირა: აჭარა - 740 ქულა, შემდეგ მოდის თბილისი - 700 და მესამე ადგილზე ზუგდიდი - 692.



აჭარის ნაკრები საუკეთესო იყო მედლების რაოდენობითაც: აჭარა - 8 ოქრო, 9 ვერცხლი და 7 ბრინჯაო, თბილისი - 6 ოქრო, 5 ვერცხლი, 4 ბრინჯაო, ზუგდიდი - 3 ოქრო,

1 ვერცხლი და 7 ბრინჯაო.

აჭარის ნაკრებიდან ოქროს მედლები მოიპოვეს ბაქარ თურმანიძემ, ბაჩუკი შამილიშვილმა, აჩიკო მალაყმაძემ. ვერცხლის მედლებს ზურაბ მსხალაძე, რამინ შამილიშვილი, საბა აბაშიძე დაეუფლნენ, ბრინჯაო იმედა შავაძემ დაისაკუთრა.

შეჯიბრებისთვის სპორტსმენები მწვრთნელებმა აბესალომ ბასილაძემ, სულხან დუმბაძემ, ნუგზარ ჭინჭარაძემ, როლანდ ქავთარაძემ, ზაზა აბულაძემ და ჯუმბერ ფუტყარაძემ მოამზადეს.

ჩვენი ბიჭები უკვე ახალ კომპლექსში ვარჯიშობენ.

როგორც ირაკლი თურმანიძემ გვითხრა, ძალოსნობის ასეთი მასშტაბის სხვა კომპლექსი საქართველოში არ არის. მან რეგიონის გარეთაც დაიმსახურა მოწონება. კომპლექსს უკვე შეუძლია, უმსახურებლოს შეკრებებზე არა მხოლოდ საქართველოს ძალოსნებს, არამედ უცხოელ სპორტსმენებსაც.

# ევროპის ჩემპიონატი - კარატეში

ბოლონეთის დედაქალაქ ვარზაგაში გამართული WUKF-ის მე-14 ევროპის ჩემპიონატი ქართველმა კარატისტებმა 5 ოქროს, 4 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედლით დაასრულეს.

კონტინენტის პირველობის გამარჯვებულები ინდივიდუალურ კუმიტეში ლუკა შანთაძე, მერაბ ლომაძე, ანდრია ონიანი და ალექსანდრე შამუგია გახდნენ. ვერცხლის მედლები ჭაბუკა მახარაძემ, ტარიელ სამხარაძემ, თამარ ცინცაბაძემ და საბა სურმანიძემ მოიპო-

ვეს, თათია ფუტყარაძე კი ბრინჯაოს პრიზიორი გახდა. ტურნირში 25 ქვეყნის 1800-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა. საქართველოს კარატეს გაერთიანებული ეროვნული ფედერაციის ნაკრები 23-კაციანი დელეგაციით იყო წარმოდგენილი.

ჩვენი ნაკრების შემადგენლობაში იყო ზუგდიდელი პარაკარატისტი (კატაში) ალექსანდრე შამუგია, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა. ვულოცავთ სრულიად საქართველოს ამ დიდ გამარჯვებას.



# შეჯიბრება - თევზჭერაში

მანანა კიბიჭანიძე 598 24 94 97

აჭარის ვეტერანთა სპორტის ფედერაციის ინიციატივითა (პრეზიდენტი - შალვა ტაბალუა) და აჭარის სპორტის დეპარტამენტის მხარდაჭერით (ხელმძღვანელი - ირმა ნიუარაძე), სპორტულ თევზჭერაში ღია პირველობა გაიმართა ამ საინტერესო და იშვიათ ღონისძიებაში ყველა ასაკის არაერთი მოყვარული მეთევზე მონაწილეობდა. აღსანიშნავია, რომ მათ შორის, ქალბატონები სჭარბობდნენ.

ქალთა შორის ყველას ანა ნიკოლაიშვილმა აჯობა. მეორე და მესამე ადგილებზე ნინო აბაშიძე და მედეა ბიბილეიშვილი გავიდნენ.

მამაკაცებში პირველი ადგილი შეჯიბრების უზუცესმა მონაწილე გრიგოლ ტონიანამ დაიკავა, მეორე ადგილზე იასონ კამკია გავიდა, მესამეზე - ზაზა ფინტურია. მონაწილეებმა მაღლობა გადაუხადეს აჭარის მონადირეთა ფედერაციის პრეზიდენტ რომან ჯიქიას თანადგომისა და შეჯიბრების საინტერესოდ ჩატარებისთვის.

მთავარი მსაჯი, როგორც ყოველთვის, შალვა ტაბალუა იყო.

